ოთარ ჭილაძე
წინ მარადისობაა!

ოთარ ჭილაძის შემოქმედებით მემკვიდრეობაში გამორჩეულ ადგილს იკავებს პუბლიცისტიკა — წერილები, ესეები და ინტერვიუები — უკიდურესი შეუპოვრობით ნათქვამი სიმართლე, უწყვეტი ფიქრი მარადიულ სატკივარზე, წარსულზე, გადარჩენასა და გადაშენებაზე, და მთავარი — თანამედროვეობის პირუთვნელი შეფასება.

პირველად ქვეყნდება სალიტერატურო პრესაში გაბნეული და მწერლის არქივში ჩარჩენილი „სიტყვები" — გამოხმაურებანი ქართული საზოგადოების თვალსაჩინო მოღვაწეებზე, გზის დალოცვა ახალგაზრდა ავტორთათვის, რომლებიც მორიდებით მიიკვლევენ მწერლობის უხილავ ბილიკებს.

აღსანიშნავია „მოკლე ავტობიოგრაფია", შეჯამება ერთი კაცის წუთისოფლისა, საოცარი თავმდაბლობითა და ფაქიზი იუმორით დაწერილი, ახალი სამზერიდან რომ გვიჩვენებს ოთარ ჭილაძის პიროვნებას.

ერთხელ კიდევ

„გოდორთან" დაკავშირებით ბევრს ვერაფერს ვიტყვი. რისი თქმაც მინდოდა, მე მგონი, უკვე ვთქვი, ხოლო, „მისი შექმნის ისტორია" იმდენად ჰგავს ყველა წინამორბედი რომანის ისტორიას, ნამდვილად არ ღირს სალაპარაკოდ. სამაგიეროდ, არ შემიძლია არ ვისარგებლო შემთხვევით და მადლიერების გრძნობით არ აღვნიშნო მკითხველის ინტერესი და გულისხმიერება, რაც მან „გოდორის" მიმართ გამოიჩინა. ტირაჟი გაიყიდა, მაგრამ წიგნის შეძენის მსურველნი ჯერ კიდევ მრავლად არიან. ასე რომ, ჰონორარისა რა მოგახსენოთ, — დღესდღეისად, უაღრესად ეფემერული ცნება გახლავთ, — მაგრამ ჩემი მწერლური პატივმოყვარეობა სავსებით დაკმაყოფილებულია. ეტყობა, ადგილობრივმა ნიჰილისტებმა მაინც ვერ შეძლეს ანტილიტერატურული ატმოსფეროს შექმნა ჩვენში და ვერც შექმნიდნენ, რამდენადაც ლიტერატურა მხოლოდ გართობის სახეობა არ არის.

სხვანაირად რომ ვთქვათ, სულიერი ფენომენია, ანუ მხოლოდ ხალხის სულთან ერთად, ხალხის სულიანად შეიძლება მისი ამოკვეთა თუ ამოშანთვა საერთო ეროვნული სხეულიდან.

ამას რომ ვამბობ, თავისთავად ცხადია, მთელ ქართულ მწერლობას ვგულისხმობ და არა კონკრეტულად „გოდორს", თუმცა, მეც ქართული მწერლობის რიგით წევრად ვთვლი თავს და, არ დაგიმალავთ, გარკვეულ მნიშვნელობასაც ვანიჭებ საკუთარ ნამოღვაწარს.

უმნიშვნელო მწერალი საერთოდ არ არსებობს. ყველა მწერალი ერთნაირად მნიშვნელოვანია მშობლიური ლიტერატურისთვის.

ლიტერატურა თანაბართა დაპირისპირება კი არა, განსხვავებულთა ერთობაა, მეც ეს მავალდებულებს (გარკვეული თვალსაზრისით, მაიძულებს კიდეც), ნებისმიერ გარემოსა და პირობებში ვაკეთო ჩემი საქმე, ვიდრე კალმის ხელში დაჭერა და საბეჭდ მანქანაში ფურცლის ჩადება შემეძლება... ლექსს ახალი ლექსი, პიესას ახალი პიესა, რომანს ახალი რომანი უნდა მოჰყვეს, აუცილებლად, რამდენადაც მწერლობაც, ცხოვრების მსგავსად, უწყვეტი პროცესია და გაჩერება მისთვის სიკვდილს ნიშნავს მხატვრული ნაწარმოებიც, ლექსი იქნება თუ რომანი, ნებისმიერ სულიერ არსებასავით ისახება, ვითარდება, მწიფდება და იბადება. „მშობელი" ამით ამთავრებს მასთან ურთიერთობას. გნებავთ, ამით ამოიწურება „მშობლის" მოვალეობა. დანარჩენი თავად მხატვრულ ნაწარმოებზეა დამოკიდებული.

ირმის ნუკრივით, ანდა კამეჩის ზაქივით, „ცის ქვეშ", „ტრიალ მინდორში" შობილი, დროულად თუ არ წამოდგა ფეხზე და „ჯოგს" არ გაეკიდა, ანუ წიგნის სამყაროში მოხვედრის უფლება თუ ვერ მოიპოვა, ან მგელი შეჭამს, ან აფთარი და ამით დამთავრდება მთელი მისი თავგადასავალი, ხოლო, მგელს და აფთარს თუ გადაურჩა, ანუ მშვიდობიანად თუ მიაღწია მკითხველამდე და, რაც მთავარია, ყურადღებასთან ერთად, მოწონებაც დაიმსახურა, პირადად ჩემთვის, სულერთია, რომელ ლიტერატურულ მიმდინარეობას მიაკუთვნებენ, რადგან ამით აღარაფერი შეიცვლება არც იმისთვის, არც ჩემთვის. მე მაინც მომეწონება, ან არ მომეწონება და, იმასაც, თავისთავად ცხადია, მხოლოდ და მხოლოდ მხატვრული მონაცემებისა და თვისებების გათვა-

ლისწინებით მიუჩენენ ადგილს სხვა წიგნებს შორის. საერთოდ, თუკი ბოლომდე გულწრფელი ვიქნები, მაინცდამაინც კარგად ვერ ვერკვევი ლიტერატურულ თეორიაში და შეკითხვებსაც უფრო თქვენი ხათრით ვპასუხობ, ვიდრე ცოდნის დასამტკიცებლად, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება მაინც შეგეკამათოთ.

ჩემს ერთ-ერთ ნაწარმოებში განუწყვეტლივ მოგუგუნე კარადისხელა საათი „ვერმობრუნებული დროის ტკივილი" კი არა, იგივე დროა და განუწყვეტელი გუგუნით თავის შეუფერხებელ დინებას ახსენებს და ასე აფრთხილებს ყველას (ვისაც გაგონება შეუძლია), სასწრაფოდ, დაუყოვნებლივ იღონოს რამე, ანუ, თავს უშველოს, თუკი საერთოდ შესაძლებელია ამგვარი რამ. აქედან გამომდინარე, ჩავლილი დრო, დაკარგული დროა და მისი დაბრუნება, ან რამენაირად ანაზღაურება არც ერთ სულიერს არ შეუძლია.

მათ შორის „საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფ ქართველობას".

„საქართველოს ფარგლებს გარეთ" ყოფნა, ანუ, ემიგრაცია, უაღრესად რთული, უაღრესად სათუთი თემაა და დიდი სიფრთხილე გვმართებს, რათა დაუმსახურებლად არ ვატკინოთ ვინმეს გული, ანდა, კიდევ უარესი, ასევე დაუმსახურებლად არ მივუტევოთ „დროებითი", „ეპიზოდური", ასე ვთქვათ, სიტუაციიდან გამომდინარე და ამდენად, ვითომ გამართლებული ჩვეულებრივი ადამიანური სისუსტე და სულმოკლეობა. ჩვენი ემიგრაცია, როგორც ყველაფერი ქართული, აშკარად განსაკუთრებულია და, ალბათ, მხოლოდ მიახლოებით თუ ჰგავს ემიგრაციის კლასიკურ მოდელს. სხვათა შორის, არც ემიგრაციაში წასვლის მიზეზია საერთო. ვინ იძულებით მიდის, ვინ საკუთარი ნებით; ვინ ფეხის ხმასაა აყოლილი, ვინ ახლობლების რჩევასა თუ მოთხოვნას. მოკლედ, რაც ერთისთვის ტანჯვაა, მეორისთვის ნეტარებაა.

სხვანაირად რომ ვთქვათ, ერთს დაბრუნება უნდა, მაგრამ არ შეუძლია, მეორეს შეუძლია, მაგრამ არ სურს. ასე რომ, ვერავინ იტყვის დაბეჯითებით, ლუკმაპურის მაძიებელი ჭარბობს მათ შორის, თუ „ტკბილი ცხოვრებისა".

ერთი ცხადია, ემიგრანტობა, ცხოვრების წესად თუ არა, მოდად ნამდვილად იქცა ჩვენში, რასაც თავის დროზე თავად ხე-

ლისუფლებამაც შეუწყო ხელი. შეიძლება მკრეხელობას ჩავდივარ, მაგრამ ჩვენი ემიგრაციის მთავარი მიზეზი მაინც არასწორად გაგებული თავისუფლება მგონია. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს სამშობლოსგან ვთავისუფლდებით, ქართველობაზე ვამბობთ პირველ რიგში უარს და თუ ეს მართლა ასეა, ძალიან სერიოზული ძალისხმევა გვმართებს ყველას ამ დამღუპველი პროცესის შესაჩერებლად.

ქართველმა ებრაელებმა, როგორც კი ამის შესაძლებლობა მიეცათ, გენი დაუბრუნეს სამშობლოს, ჩვენ კი, სამშობლოდან, უპირველეს ყოვლისა, გენი გაგვაქვს. მშობლების, ბებია-ბაბუების პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად მშობლიურ გარემოს ძალით მოწყვეტილი ბავშვი ქვეყნის ქომაგად ვერ გამოდგება. ეროვნებაც სიქალწულესავითაა — თუ დაკარგავ, ვეღარასოდეს დაიბრუნებ, მაგრამ სიქალწულისგან განსხვავებით, მისი დაკარგვა სრულებითაც არ არის სასურველი.

ჩვენ კი ძალით ვაკარგვინებთ ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს და, რაც მთავარია, დარწმუნებულები ვართ, სწორად ვიქცევით, დროულად ავუღეთ ცხოვრებას ალღო და ქეჩოზე მოვექეცით ჩვენს წასალეკად აფოფრილ ტალღას, საიდანაც ყველასათვის ერთნაირად საიმედო მიწა კი მოჩანს, მაგრამ ჯერ ღმერთმა იცის, რა გველოდება ამ მიწაზე.

აი, ამგვარი გაურკვევლობა სუფევს „საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფთა" შორის და, თქვენ წარმოიდგინეთ, მათი გაურკვევლობა აქ დარჩენილთა ფსიქიკაზეც ახდენს უარყოფით ზეგავლენას, ანუ, აქაც თავისთავად იბადება ეჭვი, შიში, უნდობლობა, უიმედობა და საუკეთესო პირობები იქმნება ანტიეროვნული, ანტიქართული (რაკი ჯერ კიდევ ბევრს ადგას გულზე ჩვენი არსებობა!) იდეოლოგიის საქადაგებლად. ჩვენდა სამწუხაროდ, არც მოხალისე თუ მოსყიდული ქადაგია სანთლით საძებარი. ხოლო ყველაფრის თავიდათავი ისევ თავისუფლებაა, უფრო სწორად, ნაწყალობევი თავისუფლება, რითაც ამ თხუთმეტიოდე წლის წინ ჩვენი ორასწლიანი მონობა დამთავრდა თითქოს.

მაგრამ ამაზე საუბარი, მეტი რომ არ ვთქვათ, ქართულ უმადურობად და ქართული ბუნების აგრესიულობად ითვლება უკვე, არა მარტო საქმეში ჩაუხედავი და ფეხებზემკიდია მსოფლიოს-

თვის, არამედ ამ თხუთმეტიოდე წლის მანძილზე ჩვენში გამოჩეკილ პოლიტიკოსთა თუ პოლიტოლოგთა საკმაოდ დიდი ნაწილის თვალსაზრისითაც. თავისუფლება შენით უნდა მოიპოვო, განუწყვეტელი ბრძოლითა და შრომით. ჭირნახულივით უნდა მოიწიო, თორემ მწყალობელი, მით უფრო შენთან ისტორიულად დაპირისპირებული, აუცილებლად დაგათმობინებს რაღაცას, შეგაცვლევინებს მაინც; ხოლო ანგარებით თავსმოხვეული ნებისმიერი ცვლილება, რა ხასიათისაც არ უნდა იყოს ის, ბოროტებაა.

თუკი უკანასკნელი თხუთმეტი წლის მანძილზე ჩვენში მომხდარ ცვლილებებს თვალს გადავავლებთ, არც იმის დადგენა გაგვიჭირდება, ვისთვის იყო სასარგებლო ამგვარი ცვლილებები, „დანგრეული" იმპერიისთვის თუ „გათავისუფლებული" კოლონიისთვის.

ამდენი გზასამცდარი ბავშვი, მოშლილი ოჯახი, სასოწარკვეთილი ადამიანი არც ერთ ისტორიულ ტრაგედიას არ დაუტოვებია ჩვენთვის.

როცა შემოდგომაზე ხეს ფოთოლი ცვივა, ეს ბუნებრივი და, აქედან გამომდინარე, აუცილებელი პროცესია, კი არ გაეჭვებს და გაფორიაქებს, გაიმედებს და გამშვიდებს.

ბუნებაში მიმდინარე ცვლილებები სამყაროს უცვლელობისა და მარადიულობის დამადასტურებელია მხოლოდ. ხოლო ის „ეპოქალური" გარდაქმნა, რომელიც ნაწყალობევ თავისუფლებას მოჰყვა ჩვენში, სამწუხაროდ, ჯერჯერობით მხოლოდ გვაფრთხობს და ავ წინათგრძნობას გვიჩენს, რის გამოც თავისუფლების შეგრძნება პასუხისმგებლობის გრძნობას კი არ გვიმძაფრებს საკუთარი ქვეყნის მიმართ, არამედ მონური თავშეკავებულობისა თუ მონური თავაშვებულობისკენ გვიბიძგებს ისევ.

რაც შეეხება ჩვენში მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებს, ჩემი აზრით, ეს პროცესები უფრო პრაგმატული ხასიათისაა, ვიდრე ლიტერატურული და, თქვენ წარმოიდგინეთ, ესეც ბუნებრივი მოვლენაა ამ ეტაპზე.

ჯერჯერობით ლიტერატურაშიც სრული განუკითხაობა სუფევს და ლიტერატურული სამყაროც უმთავრესად პირადულ ინტერესებსაა დაქვემდებარებული. ისე, ჩვენში რომ ვთქვათ, რომელ ლიტერატურულ პროცესებზე შეიძლება ლაპარაკი ხელოვ-

ნურად ჩამკვდარ, ხელოვნურად დასაჭურისებულ ქვეყანაში, სადაც გამართულად მეტყველებაც უჭირს უკვე ხალხს და ჟურნალისტურ ილეთს მეტი გასავალი აქვს, ვიდრე მწერლურ მიგნებას.

დღევანდელი ჟურნალ-გაზეთების უმრავლესობა უმნიშვნელო ადგილსაც აღარ უთმობს მხატვრულ ნაწარმოებს და პოლიტიკურ ანარქიასა და აჟიოტაჟში ისიც ვერ გაგვირკვევია, ვქმნით თუ ვანადგურებთ, რას მივიღებთ საბოლოოდ — ლიტერატურული მატიანის კიდევ ერთ ფურცელს, თუ ლიტერატურული მატიანის კიდევ ერთი ფურცლის ფერფლს. როგორც ბოროტი ენები ამბობენ, ეს ყველაფერი შორსმჭვრეტელთა მითითებითა და ბრმადშობილთა ხელით კეთდება, რაც კიდევ უფრო გარდაუვალს ხდის მოსალოდნელ კატასტროფას, თუკი დროზე არ მოვეგებით ყველანი გონს. არ უნდა დაგვავიწყდეს, ჩვენმა მტრებმა ჩვენზე უკეთ იციან ქართული მწერლობის ფასი და იმასაც ისეთივე დაუნდობლობით ებრძვიან, როგორც ქართულ ენას, ქართულ ეკლესიას თუ ქართულ მეურნეობას ებრძოდნენ თავის დროზე, ანუ, ებრძვიან ყველაფერ იმას, ურომლისოდაც, უბრალოდ, შეუძლებელია, ქვეყანად იწოდებოდე, მით უფრო — სახელმწიფოდ. რასაკვირველია, მტრების სივერაგისა და სისასტიკის ბრალია ჩვენი მწერლობის დღევანდელი სავალალო მდგომარეობა, ოღონდ, მტერში, მაინცდამაინც, ჟირინოვსკის კი არ ვგულისხმობ, არამედ ჩვენიანსაც, რომელიც ადვილი შესაძლებელია, ჟირინოვსკიზე დაუნდობელიც აღმოჩნდეს საკუთარი სისხლისა და ხორცის მიმართ. მართალია, რუსთაველის, გურამიშვილის, ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის ლეკვები ვართ, მაგრამ ბოლოს, ეტყობა, მაინც გავტყდით. ჩვენც დავკნინდით, დავწვრილმანდით და, როგორც მოსალოდნელი იყო, ერთმანეთს დავერიეთ, მტრების გულის გასახარად. ახლა აზრიც არა აქვს იმის გარკვევას, ვინ არის ჩვენ შორის ნამდვილი მწერალი და ვინ ცრუ; ვინ განაწესა ღმერთმა ქართული სიტყვის მსახურად და ვინ შექმნა „კაგებეში“ ციხის შიგნიდან გასატეხად. ციხე რა ხანია გატყდა, ქვეყნის გასაბჭოებისთანავე, მაგრამ ნამდვილი, ასე ვთქვათ, ღვთით მოვლენილი მწერლები მაინც ჯიუტად ისხდნენ ყოველთვის ქართული მწერლობის სანგარში, რათა ენა-

შერყვნილ, ეკლესიაშებილწულ, არისტოკრატიადახვრეტილ და მეურნეობამოშლილ ქვეყანას იმედიც არ დაეკარგა. ჩვენ კი დღეს იმ სანგრის მიწით ამოვსებას ვცდილობთ, ანუ, ძირითადად საყოფაცხოვრებო პრობლემებითა ვართ დაკავებულნი და ეს არის ჩვენი მთავარი საქმიანობა.

ვინ ძველი კვალის მოსასპობად იქცევა ასე, ვინ ამ გზით ცდილობს ლიტერატურაში კვალის დატოვებას და მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მსჯელობს და კამათობს ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი აღთქმული მომავლისთვის სისხლხორცეულად საჭირბოროტო საკითხებზე.

სხვანაირად რომ ვთქვათ, არც ქვეყანა ადარდებს და არც მისი მომავალი, მთავარია, დღეს მიიღოს ხვალისა, ხელისუფალთა ყურადღება მიიქციოს და თანამოკალმეებზე მაღლა დადგეს როგორმე. ამას თუ არ ჩავთვლით „ლიტერატურულ პროცესად", პირადად მე ნამდვილ ლიტერატურულ პროცესებზე ლაპარაკი ცოტა ნაადრევად მიმაჩნია. თუმცა, ღრმად ვარ დარწმუნებული, დიდხანს ვერ გაგრძელდება ასე. არათუ დაუშვებელი, შეუძლებელიცაა იმ ინერციის, იმ ენერგიის, იმ სულისკვეთების შეჩერება (შეჩერებაც კი!), ქართულ მწერლობას რომ ამოძრავებს აგერ უკვე მეთექვსმეტე საუკუნეა. ასე რომ, ვიდრე ლიტერატურა გვახსოვს და ლიტერატურაზე ვლაპარაკობთ, ჯერ ყველაფერი არ დაკარგულა, ყველაფერი შეიძლება გამოსწორდეს, რამდენადაც ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა ბუნებრივი მოვლენის კი არა, სწორედაც რომ არაბუნებრივი, ხელოვნურად შექმნილი, შეგნებულად დამახინჯებული მოვლენისა თუ მოვლენების კანონზომიერი შედეგია. ხალხის მახსოვრობა მოკლეა და, თუკი იკადრებ, შეგიძლია იმდენჯერ მოატყუო, რამდენჯერაც მოგესურვება. მაგრამ არც ის არის გამორიცხული, ხანდახან შეგნებულადაც იტყუებდეს ხალხი თავს. ყველა ხალხს და, თავისთავად ცხადია, მათ შორის ქართველ ხალხსაც, ურჩევნია მოსაჩვენებლად, ასე ვთქვათ, დროის გასაყვანად ირწმუნოს ტყუილი, ვიდრე ერთბაშად გადააყოლოს სიმართლეს თავი. მაგრამ, რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ ამ თემაზე, არაფერი შეიცვლება. რაც მთავარია, ჩვენი ლაპარაკი არა მარტო მტერს, მოყვარესაც აღიზიანებს უკვე, როგორც :]ქ, ისე საქართველოს ფარგლებს გარეთაც, მით უფრო რუსეთში ემიგრირებულს, რაც, მე თუ

მკითხავთ, თავისთავად უკვე უპრეცედენტო შემთხვევაა მსოფლიო ისტორიაში. თავს აფარებ იმას, ვინც თავშესაფარი მოგიშალა!

ასე რომ, ტყვეობაში შობილი თაობა კი მოვიდა, როგორც თქვენ ამბობთ, მაგრამ აკრძალულსა და წარმოდგენილ თავისუფლებას, რომელსაც, მართას მსგავსად, მერცხლებისა და ყვავილების სახით გამოხატავდა ტყვეობაში, ხელისუფლებისგან შემოთავაზებული (გნებავთ, შემოპარებული) ყველაფრის უფლება ამჯობინა, ანუ, პირველ რიგში, მერცხლებსა და ყვავილებს აუბზუა ცხვირი და, მოსვლისთანავე დაგმო სწორედ ის, რამაც ხელი შეუწყო, უფრო მეტიც, რამაც საერთოდ განაპირობა მისი განთავისუფლება. ეს კი თვითმკვლელობის ტოლფასი აქტია, არადა, ბოლო ორი საუკუნის მანძილზე,ანუ, როგორც ფიზიკური, ისევე სულიერი მონობის ჟამს, ცენზურის განუწყვეტელი მეთვალყურეობის ქვეშ შექმნილი ქართული ლიტერატურა, უპირველეს ყოვლისა, ქართველი ადამიანის გაუტეხლობის, მისი ამოუწურავი ენერგიისა და შინაგანი თავისუფლების სადიდებელია.

თუკი წერა ძნელი იყო როდისმე, მაშინ იყო ძნელი. უფრო მეტიც, წერა მაშინ ომს ნიშნავდა და ყველა როდი ბრუნდებოდა იმ ომიდან ცოცხალი. ბევრმა მწერალმა დადო თავი (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) ადამიანური და მწერლური ღირსების დასაცავად.

წერა დღესაა ადვილი, მაგრამ იმიტომ კი არა, ცენზურა რომ აღარ არსებობს, არამედ იმიტომ, ორსაუკუნოვან ომში დაღუპულ (შეშლილ, დახვრეტილ, ნაწამებ, თვითმკვლელ) მწერლების შთამომავალმა განთავისუფლებისთანავე რომ თქვა უარი მწერლობის ტრადიციულ დანიშნულებაზე, ანუ, ჩვენი ისტორიული პრობლემა გადაწყვეტილად მიიჩნია და უცხოელი ექსპერიმენტალისტების მიბაძვით, უაღრესად „თანამედროვე” და „აქტუალური” თემებით დაინტერესდა, როგორიცაა, თუნდაც, ჰომოსექსუალიზმი, კოსმოპოლიტიზმი თუ გლობალიზაცია, ანუ მშობლიური ისტორიის კრიტიკა და მშობლიური კულტურის უარყოფა. ქართული მწერლობა მონობაშია შექმნილი, ოღონდ, თავისუფალი ადამიანისთვის.

დღეს კი, მეტ-ნაკლებად თავისუფალ საქართველოში, ძირითადად მონებისთვის განკუთვნილი ლიტერატურა იწერება და, რაც კიდევ უფრო სამწუხაროა, ყაზბეგისა და ჯავახიშვილის წიგნებზე უკეთ საღდება. ამგვარი ლიტერატურა, რა თქმა უნდა, ზნეშეცვლილ ოჯახთან, ფუნქციადაკარგულ სკოლასთან და კორუმპირებულ საზოგადოებასთან ერთად, ხელს უწყობს ახალი ყაიდის, მე ვიტყოდი, ანტიქართული აზროვნების ჩამოყალიბებას, რაც მხოლოდ და მხოლოდ მტრის წისქვილზე ასხამს წყალს და, ჩვენდა სამარცხვინოდ, მთლად ახალი მოვლენა არ არის ჩვენში. ჯერ კიდევ რუსეთ-თურქეთის ომის დროს ქართველი თავადაზნაურების მარშალმა, ვინმე გურამიშვილმა (მომიტევოს დიდი დავით გურამიშვილის სულმა მისი გვარის ამ კონტექსტში მოხსენიება), პირდაპირ მოუწოდა ქართველ ხალხს, დედაწულიანად გამწყდარიყო რუსეთისთვის, რადგან მხოლოდ ასე დაუმტკიცებდა ერთგულებას ერთმორწმუნე „მფარველს", რაც, ამავე დროს, მისი (ქართველი ხალხის) ისტორიული მისიის აღსრულებაც იქნებოდა თურმე. ჩვენი მისია უკვალოდ გაქრობა კი არ არის, მით უფრო, ვინმეს ხათრითა თუ შიშით, არამედ — გამორჩეული, განსაკუთრებული ხმისა და სახის, სულისა და ხასიათის შენარჩუნება სამყაროს აღსასრულამდე, რაც არ უნდა ძნელი მოსასმენი იყოს ეს ვიღაც-ვიღაცებისთვის. ისტორიულმა კატაკლიზმებმა კი არ უნდა წაგვახდინოს, კიდევ უფრო უნდა აღგვაგზნოს საომრად და სამოქმედოდ. ჩვენ მეომარი და შემოქმედი ხალხი ვიყავით ყოველთვის — ხმალი არ გაგვიგდია ხელიდან, მაგრამ მაინც იმდენი რამის შექმნა შევძელით, თანაგრძნობითა და პატივისცემით უნდა გვხვდებოდნენ დღეს ყველგან, სადაც ბედი თუ უბედობა გადაგვისვრის, განათლების მისაღებად თუ თავშესაფრის სათხოვნელად. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ფუტკარიც კი არსებობს ქართული ჯიშისა! მსოფლიომ შეიძლება ჯერ არ იცის (დიდხანს ვიყავით იმპერიის ჯურღმულებში ჩამწყვდეულნი), მაგრამ აუცილებლად გაიგებს.

მთავარია, ჩვენ არ გადავშენდეთ იქამდე.

ამის საშიშროება კი ნამდვილად არსებობს.

განგებ შეგვყარეს თუ ჩვენ თვითონ დავიმართეთ შეგნებულად, აშკარად ავი სენი გვჭირს. ამ სენს სამშობლოზე გულის აცრუება ჰქვია და ძნელი სათქმელია, რატომ უნდა შეგვყროდა

მაინცდამაინც ჩვენ, როცა ყველა ჯურის გადამთიელს მაინცდამაინც ჩვენს სამშობლოზე რჩება თვალი. მაგრამ რაკი შეგვეყარა, ახლა განკურნებაზე უნდა ვიფიქროთ მხოლოდ. რაც შეიძლება სწრაფად უნდა განვიკურნოთ ამ სამარცხვინო სენისგან, თორემ ოდესღაც შესაშურად წიგნიერი ხალხი, სანიმუშოდ უწიგნურ ხალხად ვიქცეთ ლამის. რასაკვირველია, ერთბაშად არ მომხდარა ეს.

როგორც ჩათვლემილ ბავშვს საყვარელ სათამაშოს გამოაცლის ხოლმე დედა ხელიდან, ისე გამოგვაცალა ვიღაცამ, „ჩვენზე მზრუნველმა" წიგნი, და ჩვენც თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ%, თვითონაც რომ ვერ გავიგეთ, უმეცრების წყვდიადში აღმოვჩნდით ბოლოს, სადაც უფრო იოლად ვივიწყებთ წინაპართა დადგენილს და უფრო თამამად მივდევთ სხვათა ადათ-წესებს. უფრო მეტიც, ლამის ადმინისტრაციული მეთოდებით ვაუქმებთ ძველს და ვამკვიდრებთ ახალ ტრადიციებს. ეს კი მიუტევებელი შეცდომაა, დანაშაულზე რომ არაფერი ვთქვათ. დრომოჭმული ტრადიცია თავისით ქრება და ახალიც, ფაქტობრივად, თავისით მკვიდრდება, თუკი მისთვის ხელსაყრელ პირობებს შექმნის ცხოვრება. აქედან გამომდინარე, როგორც ძალით დამკვიდრებულ, ისევე ძალით ამოძირკვულ ტრადიციას მხოლოდ და მხოლოდ არასასურველი და არასასიამოვნო შედეგი შეიძლება მოჰყვეს.

განა თბილისის ქუჩებიდან ტრამვაის გაქრობამ, ტრადიციულ იერთან ერთად, ხასიათიც არ შეუცვალა ქალაქს?! ვიღაცის „ჯადოქრობის" წყალობით ერთ მშვენიერ დღეს უცხო ქალაქში გამოგვეღვიძა თითქოს, თუმცა, ადვილი შესაძლებელია, ბევრი ჯერ კიდევ ვერ ხვდებოდეს ამას. ტრამვაი არა მარტო ალამაზებდა, უფრო სწორად, არა მარტო ამშვიდებდა, ათვინიერებდა თბილისს, არამედ ჩვენც გვაახლოებდა და გვანათესავებდა, გნებავთ, გვამსგავსებდა ერთმანეთს, სულიერ არსებასავით გაჟღენთილი ჩვენი სითბოთი, ჩვენი სუნით, ჩვენი ნაფიქრალით, ჩვენი სადარდელითა და სანატრელით... მისი ზარის წკარუნი და ბორბლის ღრჭიალი არა მარტო ახალი დღის დადგომას გვაუწყებდა, არამედ გამოვლილ გზასაც გვახსენებდა განუწყვეტლივ.

გამოვლილი გზის დავიწყებიდან ერთი ნაბიჯიღა რჩება სამშობლოს უარყოფამდე. უვიცი სწავლულზე ბედნიერია, მაგრამ ჩვენ თუკი რამე გვჭირდება დღეს, სწავლა-განათლება გვჭირ-

დება პირველ რიგში, ვთქვათ, ფრანგებისგან განსხვავებით. საფრანგეთი აწყობილი ქვეყანაა და შეუძლია ამგვარი „ფუფუ-ნების" უფლებაც მისცეს თავს, თუნდაც მარტო იმის გასარკვევად, თუ რამდენად სახიფათო აღმოჩნდება წიგნისადმი დღევან-დელი გულგრილობა მომავლისთვის, ანუ, შეიძლება თუ არა ხვალ და ზეგ ქვეყნის ბედიც ანდო იმას, ვისაც გუშინ და გუშინ-წინ ორ ბატსაც არ ანდობდი მოსამწყემსად. სწავლა განა არ გვიყვარს, სიბეჯითე გვაკლია, გვეზარება. უფრო გულახდილები თუ ვიქნებით, მოგვბეზრდა, ყელში ამოგვივიდა „განათლების მიღება" უსწავლელად, რასაც განათლების საბჭოური მეთოდი გვთავაზობდა.

სავალდებულო, მაგრამ იოლმა სწავლამ აშკარად არ გაგვი-მართლა, თუმცა მაშინაც ასე ვიყავით მოდებული ქვეყანას, თა-ვისთავად ცხადია, შესაძლებლობების ფარგლებში, კიევიდან ნოვოსიბირსკამდე, და უნდა ვაღიაროთ, ნებისმიერი უმაღლესი სასწავლებლის კარი იღებოდა ჩვენთვისაც, რამდენიმე ჩურჩხე-ლისა და შინნახადი ჭაჭის საფასურად.

მაგრამ, საბოლოო ჯამში, სწავლის მძებნელებიც და შინ დარჩენილნიც ერთნაირად უვიცნი აღმოვჩნდით ბოლოს და ბევრი სიმწარეც ვიგემეთ საკუთარი უვიცობის გამო. ამიტომაც გვირჩევნია ოცნება სინამდვილეს.

ოცნებაში უცებ შეგიძლია იმის ასრულება, რასაც სინამდვი-ლეში ხანგრძლივი, თავაუღებელი შრომა სჭირდება. საქართვე-ლო რომ საქართველოა, ოცნებაში ისიც კი შეიძლება წარმოიდ-გინო ამერიკასავით ძლიერ და მდიდარ ქვეყნად. კი, ბატონო, ვიოცნებოთ.

ოცნებას რა სჯობს! მაგრამ ერთი პირობით:

აუცილებლად უნდა გვიყვარდეს ეს „დაწყევლილი" საქარ-თველო, უნდა გვჯეროდეს მისი და სადაც არ უნდა ვიყოთ, შინ თუ გარეთ, მხოლოდ მის საკეთილდღეოდ უნდა ვიღვწოდეთ, უხმაუროდ და უანგაროდ.

ასე რომ, „ერის, როგორც მთლიანი ორგანიზმის, სულიერი სიჯანსაღე" რომ დავიბრუნოთ, ხელახლა უნდა მოვინათლოთ ყველანი ქართველებად და ხელახლა უნდა შევისწავლოთ ანი და ბანი. მტერმა შეიძლება სკოლა დაგვინგრიოს, წიგნი დაგვიწ-ვას, სინათლე ჩაგვიქროს... მაგრამ სწავლის უნარსა და სურ-

ვილს ვერ ჩაგვიკლავს. სწავლა სიბნელეშიც შეიძლება და არა მარტო უცხოეთში, არამედ ადგილზეც, შინ. უცხოეთში, საერთოდ, იმის სასწავლებლად მიდიან, რისი სწავლაც შინ არ შეუძლიათ, მაგრამ სწორედ შინ სჭირდებათ. ქართულს, რასაკვირველია, საქართველოზე უკეთესად ვერსად შეისწავლი, მაგრამ შენ თუ აღარ გინდა ქართველობა, შენ თუ მსოფლიო მოქალაქეობას აპირებ, მაშინ... თუმცა, საბედნიეროდ, არც ერთი მოზარდი არ ფიქრობს ასე. ასე ზოგიერთი მათგანის მშობელი ფიქრობს და არა მარტო ფიქრობს, დაუნანებლად იმეტებს შვილს უცხო სივრცეებში უკვალოდ გასაქრობად.

არავითარ შემთხვევაში! ეს დიდი დანაშაულია ღმერთისა და ქვეყნის წინაშე და უმალ ასეთ მშობლებს გააგზავნის საქართველო „გასანათლებლად", ვიდრე მათ შვილებს.

მათი შვილები საქართველოს საკუთრებაა.

მათი შვილებია ხვალინდელი საქართველო, რომელიც, ღვთის წყალობით, ერთხელ კიდევ აღსდგა დღეს მკვდრეთით, ისევ სახელმწიფოდ იწოდება და საკუთარი დროშა, ჰიმნი და გერბი აქვს, თუნდაც, გამარტივებული. სხვათა შორის, სახელმწიფო გერბი ჩვენსავე თავგადასავალს გვიყვება ჰერალდიკის ენაზე.

უფრო სწორად, სხვებისთვისაც წარმოაჩენს, თუკი რამე მნიშვნელოვანი და საინტერესო გაგვაჩნია. სამეფო გვირგვინი, ყალყზე შემდგარი ლომები და წმინდა გიორგი, რასაკვირველია, ძვირფასი სიმბოლოებია თავისთავად, მაგრამ მათი გამოსახვა ნებისმიერი ქრისტიანული ქვეყნის გერბზე შეიძლება და არის კიდეც გამოსახული; ხოლო ქრისტეს კვართზე, მით უფრო კი ოქროს საწმისზე, მხოლოდ ოცნება თუ შეუძლიათ სხვებს, მათ შორის, რა თქმა უნდა, რუსეთსაც, რომელმაც ჯერ კიდევ ამ ორასი წლის წინ გაგვიუქმა სახელმწიფოცა და სახელმწიფო სიმბოლოებიც და, ალბათ, მაინცდამაინც არ ესიამოვნება, მისგან ერთხელ და სამუდამოდ დამარხულის აღდგენას თუ მოინდომებს დღეს ვინმე. მოკლედ, ჩემსავით გამოუსწორებელი ეჭვიანები რომ იყვნენ ჩვენი პარლამენტარებიც, დარწმუნებული ვარ, უფრო ღრმად დაფიქრდებოდნენ, არ აჩქარდებოდნენ გერბის საბოლოო ვარიანტის მიღების დროს. მაგრამ ჩვენი ბედ-იღბლის ხალხისთვის ისიც დიდი მიღწევაა (მე ვიტყოდი, ბედნიე-

რება), რასაც, ჯერჯერობით, მივაღწიეთ. ასე რომ, მიუხედავად ყველაფრისა, დღეს გაცილებით უკეთ ვართ, ვიდრე გუშინ ვიყავით. რადგან დღეს უფრო მეტმა ვიცით, რატომ ვართ ცუდად.

იმედია, ხვალ კიდევ უფრო მეტს გვეცოდინება.

ეს ეხება „გახიზნულ, გაჩუქებულ, გაყიდულ" შვილებსაც, რომლებსაც ვერაფრით ვეღარ დავიბრუნებთ, თუკი თავად არ მოუნდებათ დაბრუნება. დაბრუნება არა მარტო კეთილშობილური მიზანი, არამედ მოურეველი სურვილიც უნდა იყოს მათთვის.

ოღონდ, შურის საძიებლად კი არ უნდა დაბრუნდნენ, არამედ გვერდში ამოსადგომად და მხარის შესაშველებლად. როგორმე უნდა მოერიონ თავს და გამხიზნავ, გამჩუქებელ, გამყიდველ მშობლებს მიუტევონ, აპატიონ ყოვლად გაუმართლებელი სისუსტე და სიბეცე, უპრინციპობა და უნებისყოფობა. ეს არა მხოლოდ სულიერ შვებას აგრძნობინებთ, არამედ „უსამშობლოდ დაკარგული დროის ანაზღაურებადაც" ჩაეთვლებათ. დარწმუნებული ვარ, ასედაც მოხდება. როგორც კი განვიწმინდებით მონური ყოფის შლამისგან, ყველას, წასულსაც და დარჩენილსაც, ერთად, ერთდროულად გაგვახსენდება „ვისი გორისანი ვართ" და სულის შემძვრელი სიცხადით დაგვიდგება თვალწინ ჩვენი საერთო დედის, ჩვენი მარადიული, დაულეველი, ამოუწურავი, აუწონავი, გაუზომავი, ფასდაუდებელი, თვალშეუდგამი, ხელშეუხებელი სამშობლოს ულამაზესი და უძვირფასესი სახე...

პირველად გამოქვეყნდა ამერიკის შეერთებულ შტატებში გამომავალ გაზეთ „ივერიაში", № 84, 2004,

მედროვეები და დრო

— თქვენ იშვიათად (უფრო მეტიც, ძალიან იშვიათად) ჩნდებით საზოგადოების წინაშე.

რა არის ამის მიზეზი და რამდენად დასაშვებად მიგაჩნიათ თანამედროვე (ახალგაზრდა თუ ხანდაზმული) შემოქმედის აქტიურობა მასმედიისა თუ პოლიტიკის და ა.შ.

სფეროებში?

— „საზოგადოების წინაშე გამოჩენა", თანაც ხშირად, ნამდვილად არ მეხერხება. ამასაც განსაკუთრებული ნიჭი უნდა ალბათ. თუმცა, ბოლომდე გულწრფელი თუ ვიქნები, მაინცდამაინც, არ

მხიბლავს და, მით უმეტეს, არ მხიბლავს შემოქმედთა აქტიურობა, განსაკუთრებით მასმედიისა და პოლიტიკის სფეროში, გინდა ახალგაზრდები იყვნენ ისინი, გინდა ხანდაზმულნი. ამგვარი აქტიურობა, ძირითადად, პირადი ინტერესებითაა განპირობებული და შემოქმედებასთან არაფერი აქვს საერთო. უმალ მორალურ-ზნეობრივი კატეგორიაა და საფუძვლად უაღრესად ადამიანური თვისებები უდევს: პატივმოყვარეობა, სიხარბე, შური... ჩემი აზრით, ესეც ერთგვარი სახეობაა არსებობისთვის ბრძოლისა და, ძალიან ხშირად, ამგვარი აქტიურობის შედეგად ხდებიან პოპულარულები, შოულობენ თანამდებობებს, იღებენ წოდებებს... მაგრამ განა ეს არის ჭეშმარიტი შემოქმედის მოწოდება?! ამიტომ, თქვენი ნებართვით, მეც შევიკავებ თავს ამ თემაზე საუბრისგან.

მსაჯულად ნამდვილად ვერ გამოვდგები და, კაცმა რომ თქვას, არც არაფერია განსასჯელი.

უაღრესად ცხოვრებისეული მოვლენაა და, თანაც, ადამის ხნისა. გააჩნია, ვის როგორ ესმის ცხოვრება და ვინ რას ელოდება მისგან. ჩვენ რომ მედროვეს ვეძახით, შეიძლება, გარემოების მსხვერპლი აღმოჩნდეს ბოლოს — ცხოვრებაში ფეხის მოკიდების ჟინს ღვთისგან ნაჩუქარი ტალანტიც გადააყოლოს, ანუ, საერთოდ ვეღარ მოიცალოს შემოქმედებისთვის, რისთვისაც მოევლინა ამ ქვეყანას. ადამიანი ყოველთვის ცდილობს, არ გაეთელვინოს ცხოვრებას და ამისათვის, ზოგჯერ არანაირ გზას არ თაკილობს, ისევ ცხოვრების კარნახით. ასეთია ჩემი, ალბათ ცოტა მკაცრი, მაგრამ გულწრფელი აზრი შემოქმედთა აქტიურობასთან დაკავშირებით შემოქმედებასთან არაფრით დაკავშირებულ სფეროებში. ვიდრე არსებობს დრო, აუცილებლად მედროვეც იქნება, ისევე, როგორც მეცნიერი, ანდა მეთევზე... მე კი მხოლოდ წარმატება შემიძლია ვუსურვო ყველას, ვისი მოწოდებაც ცხოვრებაზე გამარჯვებაა. მთავარია, საზოგადოება იყოს მტკიცე და იოლად არ იცვლიდეს ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებულ აზრს მარადიულ ცნებებზე.

საზოგადოება, რომელიც პატივს არ მიაგებს, ვთქვათ, ღირსეულ შემოქმედს და, თუნდაც, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ფარზე შესვამს მედროვეს, რასაკვირველია, ჯანსაღ საზოგადოებად ვერ ჩაითვლება...

— ამბობენ, ინტერესი წიგნის მიმართ დღეს საგრძნობლად შემცირებულია. რა როლს ანიჭებთ ლიტერატურას საზოგადოების (განსაკუთრებით, ახალგაზრდობის) სამყაროს ჩამოყალიბებაში? საერთოდ, რა მნიშვნელობა აქვს წიგნს?

— წიგნს დიდი, მე ვიტყოდი, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების და განსაკუთრებით ახალგაზრდობის ჩამოყალიბებაში.

რაც უფრო ნაკითხია ადამიანი, მით უფრო მდიდარია სულიერად, ხოლო სულიერად მდიდარი ადამიანი გაცილებით იოლად უძლებს ნებისმიერ ცხოვრებისეულ გამოცდას, მათ შორის, რასაკვირველია, „საერთო ეკონომიკურ სიდუხჭირესაც", რითაც დღეს წიგნისადმი ინტერესის შემცირებას ვამართლებთ.

ეს, რა თქმა უნდა, მტკნარი სიცრუეა.

წიგნიერი ადამიანი უმალ წიგნს იყიდის, ვიდრე პურს. წიგნისადმი ინტერესის შემცირება ეპოქალური, მსოფლიო მოვლენაა და ბუნებრივია, თავისი მიზეზები გააჩნია, ალბათ გაცილებით მნიშვნელოვანი, ვიდრე ეკონომიკური კრიზისია, თანაც უაღრესად კონკრეტული ხასიათისა. მე პირადად, ამის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ცივილიზაციის სწრაფ განვითარებას ვთვლი. შემოქმედს, თანდათანობით, მწარმოებელი ჩაენაცვლა.

შემოქმედების იდუმალი პროცესი წარმოების ტექნიკურმა პროცესმა შეცვალა. ანუ, თუკი, თავის დროზე, სერვანტესი ან სვიფტი თითო რომანს წერდა მთელი ცხოვრების მანძილზე, თანამედროვე სერვანტესები იძულებულნი შეიქნენ, ყოველწლიურად გამოაცხონ თითო რომანი, რის გამოც მხატვრული ნაწარმოები მასობრივი მოხმარების ჩვეულებრივ პროდუქტად იქცა. მაგრამ ეს ჩვენი საუბრის ფარგლებს სცილდება. თანაც, როგორც ვხედავ, თქვენ ქართველი მკითხველისა და ქართული წიგნის ურთიერთობა გაინტერესებთ ამჟამად და არა ზოგადად მკითხველისა და წიგნისა. მართალი ბრძანდებით, სჯობს, თავს მივხედოთ, ჩვენვე გავარკვიოთ ჩვენი პრობლემები, თორემ მსოფლიო უჩვენოდაც გაართმევს თავს ამ არასასიამოვნო, მაგრამ, ჩემი ღრმა რწმენით, მაინც დროებით მოვლენას.

მსოფლიო უწიგნოდ არ დარჩება. უწიგნოდ გაზრდილი ახალგაზრდა მარადიული წყვდიადისთვისაა განწირული. რა თქმა უნდა, საამისოდ ყველა ახალგაზრდა ერთნაირად ცოდოა,

მაგრამ მე განსაკუთრებულად ჩემი, ქართველი ახალგაზრდა მეცოდება — უნიჭიერესი და უვიცი, არასწორი წარმოდგენებისა და ფუჭი ილუზიების ტყვე. შენ რომ არ გისმენს, არაფრად რომ აღარ გაგდებს, ეს კიდევ არაფერი, ამას შენც მოინელებ და, რა თქმა უნდა, აპატიებ, მაგრამ შეიძლება მართლა გაგისკდეს გული, როცა საკუთარი თვალით ხედავ, როგორ ბრმად ენდობა ნებისმიერ სულგაყიდულ, სინდისგარეცხილ მედროვეს, რომელიც აშკარად პირადი გამორჩენის მიზნით, ანდა კიდევ უარესი, სხვა, უფრო დიდი მედროვის ფარული მითითებების შესაბამისად, დაუნანებლად სვრის, ბილწავს, ასახიჩრებს ირგვლივ ყველაფერს; აკნინებს, აბითურებს წმინდა ცნებებს; ეჭვის ქვეშ აყენებს საუკუნეობით დადგენილსა და დაკანონებულს...

პირუტყვულ თავისუფლებას ქადაგებს ზნეწამხდარ ოჯახებსა თუ ფუნქციადაკარგულ სკოლებში... თუმცა, ისიც უნდა ითქვას, ბედნიერი ქვეყნებისგან განსხვავებით, მთლად ჩვენზე არ იყო დამოკიდებული, როგორები ვიქნებოდით დღეს, ასე ვთქვათ, მკვდრეთით აღდგომის, მეორედ დაბადების ჟამს. ბოლო ორი საუკუნის მანძილზე ჩვენი ისტორიული მტრები მკლავებდაკაპიწებულნი მუშაობდნენ ჩვენი ფსიქიკის შესაცვლელად, რასაც, გარკვეული თვალსაზრისით, მიაღწიეს კიდეც და რამაც, ჩვენდა ჭირად, მაინცდამაინც ჩვენი ფიქტიური დამოუკიდებლობის ჟამს იჩინა თავი, რათა დანარჩენ მსოფლიოს თვალნათლივ დაენახა ჩვენი უმწეობა და უსუსურობა, ჩვენი მოუმზადებლობა დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის, რაც ჩვენს დამპყრობელს არათუ გაამართლებდა, სუსტისა და უმეცრის კეთილშობილ მფარველადაც გამოიყვანდა იმავე მსოფლიოს თვალში. არც ჩვენ გავუწბილეთ მოლოდინი.

იმის მაგივრად, ფიქტიური როგორმე ფაქტიურად გვექცია, ანუ, გვერდში ამოვდგომოდით ერთმანეთს, ჩამოგვებანა წარსულის შლამი და ტალახი, მიახლოებით მაინც აღგვედგინა ჭეშმარიტი სახე, ერთმანეთის ჯიბრით და, რაც კიდევ უფრო სამწუხაროა, ერთმანეთის დამცირების მიზნით, კიდევ უფრო ღრმად ჩავეფალით ტალახში: ავტომატის ტყვიებით დავცხრილეთ მწერალთა კავშირის შენობა; დღისით, მზისით, ქუჩაში დავწვით წიგნები; დაუფიქრებლად დავნაწილდით სახელდახელოდ გამოჩეკილ პოლიტიკოსთა „სადროშეებად" — არც გვიკითხავს,

რითი მოიპოვეს ან ვისგან მოიპოვეს მათ ჩვენზე ბატონობის უფლება — და პირველსავე დაძახებაზე გამოვენთებოდით ხოლმე ქუჩებში, სულერთია, ვის დასაცავად: სპეკულიანტის, ქურდის, გამომძალველის, მექრთამის თუ ჩვეულებრივი მკვლელისა... სამაგიეროდ, ყურსაც არ ვიბერტყავდით, როცა ჩვენი სამშობლო ხელებგადატრიალებული შეჰყავდათ მისთვის დამღუპველ „კავშირებში"; როცა ცილს სწამებდნენ, აბუჩად იგდებდნენ საერთაშორისო სამიტებსა თუ კონფერენციებზე; როცა ცოცხლად წვავდნენ, როცა ტერიტორიებს ართმევდნენ, ძარცვავდნენ, ყვლეფდნენ, ატყავებდნენ და კიდევ აქეთ სდებდნენ ბრალს. იმიტომ, რომ თვითონ არ ვიცით, რა გვინდა, რისკენ ვისწრაფვით, რისი იმედით.

ამას ნიშნავს სწორედ უწიგნურობა. წიგნი არა მარტო წარსულს გვახსენებს, მომავლისთვისაც გვამზადებს. და მაინც საოცარია, ჩვენი ბედისა და თავგადასავლის ხალხს მტერმოყვარის გარჩევა უჭირდეს. მართალია, განათლების საბჭოურმა სისტემამ, ისედაც ბნელ ქვეყანაში, კიდევ უფრო დიდი სიბნელე დაამკვიდრა თავის დროზე, მაგრამ დღეს ნამდვილად გაუმართლებელია ახალგაზრდობის უმეცრება. სხვათა შორის, თხუთმეტიოდე წლის წინ, ეროვნული მოძრაობის დასაწყისში, ამ მხრივ, გაცილებით უკეთესად იყო საქმე. ახალგაზრდობა თითქოს უფრო მომზადებული ჩანდა თავისუფლებისთვის.

ყოველ შემთხვევაში, „სალი კლდეების" გულისთვის სიკვდილი ჯერ კიდევ ერჩია „სხვა ქვეყნის" სამოთხეში განცხრომას, ესე იგი, წიგნსაც კითხულობდა, იცოდა, როგორც საკუთარი, ისე სხვათა (მით უფრო, დამპყრობთა) თავგადასავალი. ავია თუ კარგი, ჩვენი მწერლობა, ყაზბეგიდან მოყოლებული, ნაბიჯნაბიჯ, მისხალ-მისხალ, ზოგჯერ სიცოცხლის ფასადაც, მაგრამ ყოველთვის დაუნდობელი სიზუსტით გვიხატავდა ჩვენს თავზე დატრიალებულ უბედურებას... მაგრამ წიგნს თუ არ წავიკითხავთ, კაცმა რომ თქვას, როგორ გავიგებთ, რა ამბავია ჩვენს თავს?! აი, ეს დრო გვიდგას ახლა: წიგნს არ ვკითხულობთ და შედეგიც არ აყოვნებს. სულო ცოდვილო, და რატომღაც ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, ახალგაზრდობა, თუ გამოვიდოდა, მხოლოდ სამშობლოს ღირსების დასაცავად გამოვიდოდა ქუჩა-

ში და არა, ვთქვათ, უმაღლეს სასწავლებლებში გამოცდების გასაუქმებლად.

მაგრამ მარტო ახალგაზრდები არ არიან დამნაშავენი. ყველანი ერთნაირად ვცოდავთ. უფრო სწორად, ჩვენ, უფროსები უფრო ცოდვილები ვართ. განა მიუტევებელ ცოდვას არ სჩადის მშობელი, როცა შვილს თავიდანვე უცხოეთში აგზავნის გასანათლებლად?!

ამით ხომ, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ ენასა და კულტურას უცხადებს უნდობლობას და სისხლსა და ხორცს, „ჭკუაში ჩავარდნამდე", ართმევს ეროვნებას. უცხო ენაზე გაზრდილი და განათლებული ბავშვი ქართველი აღარ არის. ვეღარც გახდება. ყოველთვის იმ კულტურის ტყვეობაში დარჩება, რომელსაც თავიდანვე ეზიარება. უცხოეთში გაზრდილი ბავშვი (გინდათ, შინ გაზრდილი უცხოურად), გაცილებით მეტს კარგავს, ვიდრე იძენს. იძენს, დავუშვათ, იერს, კარგავს ბუნებას. იძენს ცოდნას, კარგავს სიბრძნეს. დარწმუნებული ვარ, ახალგაზრდებს მაინცდამაინც არ ესიამოვნებათ ჩემი მოსმენა, მაგრამ სხვანაირად აზრი არა აქვს ჩვენს ლაპარაკს. სხვათა შორის, ამის გამოც ვარიდებ თავს „საზოგადოების წინაშე გამოჩენას".

სიმართლის ერთგულებით მხოლოდ მტრები მოვიმატე და, რაც კიდევ უფრო უარესია, მტრების გინებით მოყვარეს შევაჯავრე თავი. მაგრამ მაინც სიმართლის თქმა სჯობს, თუკი საერთოდ ვაპირებთ რამის თქმას, მით უფრო, ახალგაზრდობისთვის. ახალგაზრდობას არც ვაკადრებ, ენა მოვუჩლიქო და ყალბი ქათინაურებით მოვუქონო თავი.

მართალია, ისინი კრიტიკას მტკივნეულად აღიქვამენ, მაგრამ ყოველთვის გონივრულად იყენებენ. დასანახად და ღირსების შესანარჩუნებლად კი ბრაზდებიან, კი გაჯიუტდებიან ხოლმე, მაგრამ თავთან მარტო დარჩენილი, უსასრულოდ წონიან და ზომავენ ყველა შენიშვნას, რათა, რაც შეიძლება სწორი დასკვნები გამოიტანონ და მომავლისთვისაც გაითვალისწინონ. მე თუ მკითხავთ, ესაა ახალგაზრდობის უპირატესობაც: დროც ბევრი აქვს და ძალაც შესწევს, ნებისმიერი ნაკლის გამოსასწორებლად... ხოლო, რაც უფრო განათლებული იქნება, მით უფრო იოლად დაძლევს ნებისმიერ დაბრკოლებას. ასე რომ, ისევ წიგნს უნდა მივუბრუნდეთ. სხვა გზა არ არსებობს. ჩვენი „სიცოცხლის

გზა” წიგნზე გადის. რაც უფრო ადრე მივუბრუნდებით წიგნს, მით უფრო ადრე აღმოვაჩენთ საკუთარ თავს. ხოლო, როგორც კი აღმოვაჩენთ საკუთარ თავს, მაშინვე გაგვიჩნდება უკეთესობისკენ სწრაფვის სურვილი. წიგნი გვეუბნება, როგორები ვართ და როგორები შეიძლება ვიყოთ, თუკი ისევ მას დავუჯერებთ და მივენდობით...

— ითვლება, რომ საქართველოში კრიტიკა ვერ განვითარდა, რამაც, თავის მხრივ, ლიტერატურული ორიენტირების არსებობა განაპირობა, რაც განსაკუთრებულად საგრძნობია დღეს, როდესაც ყველა, ვისაც არ ეზარება, წერს და თან პოეტად თუ მწერლად მიიჩნევს თავს. საჭიროა თუ არა კრიტიკა იმის განსასაზღვრად, რომ ესა თუ ის ავტორი, ან მისი ესა თუ ის ნაწარმოები მხატვრულად ღირებულია ან პირიქით?

— როცა ახალგაზრდა კაცს თავხედობა ჰყოფნის, ყოველგვარი იუმორისა და ირონიის გარეშე, წარბის შეუხრელად აქოს და ადიდოს „საზოგადოების წინაშე” საკუთარი ნაწარმოები, ანდა უდიერად მოიხსენიოს რომელიმე ღირსშესანიშნავი მწერალი, ვის სახელსაც „ჩუმის ლოცვით” უნდა იმეორებდეს განუწყვეტლივ, მით უფრო, თუკი თავადაც მწერლობას აპირებს, რასაკვირველია, იმ ქვეყანაში კრიტიკაზე საუბარი ჯერ ადრეა, თუ საერთოდ დაგვიანებული არ არის. ჩემი თვალსაზრისით, უფრო ადრეა, ვიდრე დაგვიანებული.

კრიტიკა ყველაზე სათუთი, ასე ვთქვათ, არისტოკრატული ჟანრია ლიტერატურისა და სხვა ჟანრებთან შედარებით, იოლად თმობს პოზიციებს, უფრო სწორად, პირველი გარბის ბრძოლის ველიდან, როცა მწერლობისთვის ყოვლად შეუფერებელი ამინდი დგება ქვეყანაში.

ამიტომაც სუფევს ასეთი განუკითხაობა დღეს, არა მარტო მწერლობაში, ხელოვნების ნებისმიერ დარგში და საერთოდ კულტურულ ცხოვრებაში. დღევანდელი, „გათანამედროვებული” ქართულით რომ ვთქვათ, ნებისმიერი სტატუსის (პოეტის, მუსიკოსის, მხატვრის) მინიჭება, რა თქმა უნდა, კრიტიკის პრეროგატივაა და არა თავად შემოქმედისა.

კრიტიკა, არა მარტო გემოვნებას ხვეწს, განათლების დონესაც მაღლა სწევს და, რაც მთავარია, ყველა ჭკუათმყოფელისთვის ერთნაირად მისაღებ პოზიციას ამკვიდრებს. მაგრამ, რო-

გორც უკვე ვთქვით, თავადაა ცუდ დღეში. თითქოს კი არსებობს, მაგრამ არსებობს დროის შესაფერისად გარდაქმნილი.

ანუ არსებობს, მაგრამ თავის ფუნქციას ვერ ასრულებს. ანდა სრულიად სხვა, ახალ ფუნქციას ასრულებინებენ „მუსიკის შემკვეთები" და ისიც (კრიტიკა), ძირითადად, პირადი ანგარიშსწორებითაა დღეს დაკავებული — კერპთა დამხობითა და მღილთა აღზევებით — რის გამოც, ნამდვილი, ბუნებრივი ლიტერატურული პროცესები საერთოდ შეუმჩნეველი რჩება. მაგრამ, ჩვენში რომ ვთქვათ, ასეთი, „კრიტიკა" გინდაც გაფაციცებული ადევნებდეს თვალს მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებს, ობიექტურ შემფასებლად და დამფასებლად მაინც ვერ გამოდგება. ჯერ კიდევ როდის წერდა გრიგოლ ორბელიანი, „დაბნელდა საქართველოშიო", მას მერე კი, თუ არ მომატებია, არც არაფერი მოჰკლებია სიბნელეს, მაგრამ ეს მაინც დროებითი, წარმავალი სიბნელეა და თავისთავად „იკურნება", როგორც კი ცხოვრება კალაპოტში დგება და ქვეყანა ქვეყანას ემსგავსება. ასე რომ, ჯერ კიდევ უნდა დავიცადოთ. ჯერ განუკითხაობა სუფევს ჩვენში და მედროვეთა დროა. ხომ ხედავთ, რას დავემსგავსეთ?! ვის ნოვატორი ჰგონია თავი, ვის გალაკტიონი ეპატარავება თვალში... საზოგადოება კი ბაიბურში არ არის. იმიტომ, რომ სიბნელის ნაშიერია, უწიგნურია და უჭირს საკუთარი აზრის ჩამოყალიბება. ხოლო, გაზეთი და ტელევიზია ყოველთვის როდი ეუბნება სიმართლეს.

გინდაც ეუბნებოდეს, უკრიტიკოდ დარჩენილი პრესის სიმართლე მაინც ნაკიანია, ჩრდილოვანი, გნებავთ, არასრულყოფილი, გნებავთ, დამახინჯებული. პრესა ბუნებით ლამაზ ქალსა ჰგავს, შეიძლება უპატიოსნესი იყოს, მაგრამ გულის სიღრმეში მასაც აღელვებდეს აკრძალული, მიწიერი სიამენი...

სიტყვის თავისუფლება, დამოუკიდებელი გაზეთები, ტელეარხები, რადიოსადგურები, რასაკვირველია, კარგია, აუცილებელიცაა, ჩვენ თუ მართლა დემოკრატიულ საზოგადოებას ვაშენებთ, მაგრამ მიზანი ყველას საერთო უნდა ჰქონდეს, ყველა ერთნაირად უნდა ითვალისწინებდეს და ემსახურებოდეს კიდეც სამშობლოს ინტერესებს, რამდენადაც ბევრადაა მათზე დამოკიდებული, როგორები ვიქნებით ხვალ და საერთოდ დავრჩებით თუ არა ქართველებად. რაც შეეხება წერის ჟინით შეპყრო-

ბილთა მომრავლებას მწერლობაში, ეს ნაკლებად სახიფათოა. წერონ, მოიკლან წერის ჟინი, დაიკმაყოფილონ „სულიერი მოთხოვნილება”, ამით ბევრი არაფერი დაშავდება.

პირიქით, როგორც ჩვენმა დიდმა აკაკიმ იხუმრა ერთხელ: პოეტები თუ არ გამოვლენ, წერას მაინც ისწავლიან. გამართულად წერა უკვე კულტურაა. ყოველ შემთხვევაში, შავს თეთრისგან და მტერს მოყვრისგან ნამდვილად განასხვავებ, რასაც ვერ ვიტყვით ზოგიერთ ჩვენს შემოქმედზე, რომლებსაც, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც მტკიცედ სჯერათ, ვთქვათ, რუსეთ-საქართველოს „საუკუნოვანი ძმობისა”. რასაკვირველია, ადამიანური თვალსაზრისით იმათი გამართლებაც შეიძლება.

ადამიანები, სადაც არ უნდა ცხოვრობდნენ, ათასნაირად არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, ზოგნი ბიზნესით, ზოგნი კარიერით, ზოგნი ოჯახურადაც, მაგრამ რაც მეყვავილეს, გადამყიდველს, სანტექნიკოსს ანდა სულაც შავ მუშას მიეტევება, ის მიუტევებელი ცოდვაა შემოქმედისთვის, მით უფრო ნიჭიერისთვის, რომელსაც ერთი მოუზომავი სიტყვით, ანდა დაუფიქრებლად გადადგმული ნაბიჯით, შეუძლია გამოუსწორებელი ბოროტება მოუტანოს სამშობლოს, ისევ და ისევ, თავისი ნიჭიერების გამო. ადვილი შესაძლებელია, მისმა თაყვანისმცემელმა, რომელიც ფიქრშიაც არ დაუშვებს, მისი კერპი კერპისთვის შეუფერებელ ნაბიჯს თუ გადადგამს ან სცენაზე, ან ცხოვრებაში, მართლა იწამოს დამპყრობლისა და დაპყობილის „საუკუნოვანი ძმობისა” და მონობაში შობილი, მონობით გამოთაყვანებული, ვეღარასოდეს გამოვიდეს მონობიდან, ამჯერად, რომელიმე საიდუმლო სამსახურების მიერ ოსტატურად ჩატარებულ ოპერაციათა გამო კი არა, არამედ მონობაში ჩამოყალიბებული და უკვე ეროვნულ უბედურებად ქცეული ორპირობისა და ორგულობის გამო. არ არსებობს საკითხი, რომელზედაც განსხვავებული (თანაც რამდენიმე) აზრი არ გვქონდეს, მაგრამ ასევე არ არსებობს საკითხი, რომელზედაც ერთი აზრისანი ვიყოთ ყველანი. ეს არის თავიდათავი ჩვენი მარადიული მარცხისა და მთავარი და დამაქცევარი იარაღიც ყველა ჩვენი მტრის ხელში. აი, ასეთ მწარე დღეშია ჩავარდნილი დღევანდელი შემოქმედიც და მისი თაყვანისმცემელიც, და ამის ერთერთი სერიოზული მიზეზი სწორედ კრიტიკის სისუსტეა. ამიტომ, დავიცადოთ, ვიდრე კრიტიკა

მოღონიერდებოდეს, ვიდრე თავის ფუნქციას დაიბრუნებდეს. დარწმუნებული ვარ, მოვა დრო და ძალამოკრებილი კრიტიკა მკაცრად ამხელს, ბოძზე გააკრავს, გაამათრახებს, მასხრად აიგდებს ნებისმიერ უმსგავსობას, უხამსობას, უნიჭობას, რასაც დღეს ასე უხვად, თანაც უშუალო სითავხედითა თუ თავხედური უშუალობით გვაწვდის ჩვენი სინამდვილე... სხვათა შორის, კრიტიკა მომავალში ალბათ იმასაც იკითხავს, თუ რატომ უნდა ერქვას „ქართული უნივერსიტეტი" თავისუფალ, დემოკრატიულ საქართველოში მთავარი უნივერსიტეტის გაზეთს. თუ არ მიწყენთ, ესეც ხომ საუკუნეობით ჩამოყალიბებული ჩვენი მონური აზროვნების გამოძახილია?!

საქართველოში (ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა კულტურულ ქვეყანაში) მსაზღვრელი მხოლოდ იმ სასწავლებელს, ან სხვა რაიმე დაწესებულებას სჭირდება, რომელიც შეიძლება, რატომღაც, არ იყოს ქართული...

ასე რომ, აღვიჭურვოთ მოთმინებით და დავიცადოთ... — ბევრი მიიჩნევს, რომ წიგნის მაღაზიების არსებობა საზოგადოების წიგნიერების ნიშანია — რადგანაც არსებობს მაღაზია, არსებობს მკითხველიც. ასეა თუ არა?

— მე მგონი, მთლად ასე არ არის. ალბათ აჯობებს, თუ ვიტყვით: არსებობს მაღაზია, არსებობს მყიდველი. გეთანხმებით, არსებობს მკითხველიც, მაგრამ, რასაკვირველია, მისი გულის მოსაგებად, მის მისაზიდად არ იხსნება დღეს წიგნის მაღაზიები. სამწუხაროდ, ჩვენი ცხოვრებისეული პირობების გამო, წიგნის მყიდველისა და მკითხველის ცნებები ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება.

ზოგჯერ საერთოდ გამორიცხავს კიდეც ერთმანეთს. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი, მე ვიტყოდი, დიდი ისტორიული ფაქტია. მკითხველი, როგორც უკვე ვთქვით, იქით ეძებს წიგნს, ყველა ხვრელი იცის სასურველი წიგნისკენ მიმავალი, საკმაოდ გათვითცნობიერებულია ამ საქმეში და იოლად ვერ შეაპარებ ცრუ ლიტერატურას, რაც არ უნდა მდიდრულად გამოსცე და რაც არ უნდა ლამაზად გააფორმო.

ამავე დროს, მყიდველთან შედარებით, მკითხველი გაცილებით მცირერიცხოვანია.

ასე რომ, ვინც დღეს წიგნის მაღაზიას ხსნის, ნაკლებად ითვალისწინებს მის რაოდენობას და, აქედან გამომდინარე, მის გემოვნებასაც.

წიგნის მაღაზიების არსებობას ჩვენში, ჯერჯერობით, მაინც ბიზნესი განაპირობებს და არა, ვთქვათ, წერა-კითხვის გავრცელების სურვილი. მაგრამ, რაც არ უნდა განაპირობებდეს, მხოლოდ მისასალმებელი ფაქტია და ყველამ ხელი უნდა შევუწყოთ, მივეხმაროთ, რითაც შეგვიძლია. ვერც იმას ვიტყვი, წიგნის მაღაზიის გახსნა საზოგადოების წიგნიერების ნიშანია-მეთქი, მაგრამ საზოგადოებისთვის უაღრესად სასარგებლო მოვლენაა.

წიგნის მაღაზიაში, თუნდაც ისე, იქაურობის დასათვალიერებლად შესვლა, შეიძლება უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც მაღლა სწევს ჩვენი ადამიანურობის კოეფიციენტს.

ცივილიზაციით დამფრთხალი და დაბნეული ადამიანი წიგნის მაღაზიაში მხოლოდ შვებას იგრძნობს და ცოტა ხნით მაინც მოითქვამს სულს. საქართველოში ყოველთვის მაღალ დონეზე იდგა წიგნთან ურთიერთობის კულტურა.

წიგნის ფასი ყოველთვის ვიცოდით-მეთქი, მინდოდა მეთქვა. წიგნის მზითვად გატანების წესიც, მხოლოდ და მხოლოდ, ამის დამადასტურებელია და არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, თვითგანათლების, თვითგაკეთილშობილების დაუშრეტელი წყარო იყო წიგნი მაშინდელი ქართველი ობივატელის თვალში, თუ განსაკუთრებულად ძვირფასი, ძვირადღირებული ნივთი. წიგნის მაღაზიების გახსნა ამითაც არის მნიშვნელოვანი — თუ წიგნს ვერ წააკითხებენ დღევანდელ ქართველ ობივატელს, შეახსენებენ მაინც, წიგნი მისგან მხოლოდ მოკრძალებასა და პატივისცემას რომ იმსახურებს, თუნდაც სიძვირის გამო. მართალია, დღეს წიგნის მაღაზიაში უმალ „ჰარი პოტერს" გადაეყრები, ვიდრე „ტომ სოიერს", მაგრამ ესეც ჩვეულებრივი მოვლენაა ჩვენზე ბევრად წიგნიერი ქვეყნებისთვისაც და, ამდენად, „ჰარი პოტერიდანაც" შეიძლება სასარგებლო დასკვნების გამოტანა. რაც უფრო წიგნიერია საზოგადოება, მით უფრო იოლად ართმევს თავს ნებისმიერ ზნეობრივ თუ სულიერ პრობლემას.

უფრო სწორად, სხვათა დაუხმარებლადაც იცის, რა ურჩევნია, რა უფრო მოეხმარება ამქვეყნიურ ცხოვრებაში: ტომ სოი-

ერის წრეგადასული, მაგრამ მაინც უაღრესად ადამიანური ცელქობანი, თუ ჰარი პოტერის, ცოტა არ იყოს, შიშისმომგვრელი ჯადოქრობები.

ყველა წიგნი, თუკი ელემენტარულ ლიტერატურულ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს (უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობ „გამართულად წერას”), ერთნაირად ღირსია არსებობისა. წიგნს ადამიანი ქმნის და, რაც მთავარია, თავისთვის. ადამიანი კი ბუნების განუყოფელი ნაწილია და საკუთარ არსებაში მოიცავს ყველაფერს, რაც ბუნებისთვისაა დამახასიათებელი. ასე რომ, წიგნი ცუდიც შეიძლება იყოს და კარგიც, საზიანოც და სასარგებლოც, ოღონდ, მთავარი კრიტერიუმი მაინც მხატვრული ღირსებაა. რაც უფრო მეტი მხატვრული ღირსება აქვს წიგნს, მით უფრო დიდია მისი ზემოქმედების ძალაც და არეალიც. ასე რომ, იმედი ვიქონიოთ, კიდევ ბევრი, ბევრნაირი წიგნი დაიწერება და, თავისთავად ცხადია, გაიყიდება კიდეც, თუკი მომავლის ადამიანმა საერთოდ არ ჩაიქნია ხელი ცხოვრებაზე, რაც დიახაც რომ გამოუსწორებელი შეცდომა, სამარცხვინო სისუსტე და ყოვლად მიუტევებელი ღალატი იქნება მისგან. ამგვარ ცოდვას მხოლოდ უწიგნური ადამიანი თუ ჩაიდენს...

— 60—იანი წლების საქართველო, ბუნებრივია, დღევანდელისგან განსხვავდება.

რა იყო მაშინ განსაკუთრებით ძვირფასი — სპეციფიკური დროისთვის, ქვეყნისთვის და თუ არსებობს დღეს ისეთი ცნება, როგორიც „ეპოქის სულია”, რა ნიშნებს ატარებს 21—ე საუკუნის საქართველო?

— დღევანდელი საქართველო, რასაკვირველია, განსხვავდება გასული საუკუნის 60— იანი წლების საქართველოსგან, მაგრამ, ჩემი აზრით, განსხვავება მაინც ვიზუალურია, გარეგნული, უფრო ზუსტად, ზედაპირული...

თავისთავად ცხადია, არ ვგულისხმობ რუსული წარწერების შეცვლას ინგლისური წარწერებით.

პირიქით, ჩვენი ბილინგვური აზროვნების სიმყარე მაფიქრებინებს, რომ შინაგანად ბევრი არაფერი შეცვლილა. უბრალოდ, ახლა თამამად ვამბობთ იმას, რაზეც მაშინ ვჩურჩულებდით და თავისუფლად ვაკეთებთ, რისი გაკეთება მაშინაც გვინდოდა, მაგრამ არ შეგვეძლო, არ შეგვეძლო არსებული რეჟიმისა და

არა ჩვენი განსაკუთრებული წესიერებისა თუ გადამეტებული გაუბედაობის გამო. უფრო მეტიც, ჩვენი სულიერი და ზნეობრივი გახრწნა საბჭოთა რეჟიმში დაიწყო და დამთავრდა კიდეც. დღეს, როგორც იტყვიან, მოსავალს ვიმკით. „ვარდების რევოლუცია", ჩემი აზრით, უპირველეს ყოვლისა, ზნეობრივი მოვლენაა. პირველი სერიოზული ცდაა სიყალბიდან სიმართლისკენ, სიბნელიდან სინათლისკენ შემობრუნებისა. ყოველ შემთხვევაში, ასე მინდა ვიფიქრო, ასე მინდა იყოს. არა მარტო რეჟიმი, არა მარტო სისტემა, თავად ადამიანი უნდა შეიცვალოს, გადარჩენა თუ უნდა. იცვლება კიდეც. ოღონდ ნელა და ამიტომაც შეუმჩნევლად. ეს რთული, მტკივნეული პროცესია და ყველა ჩვენგანს განსაკუთრებული სიფხიზლე გვმართებს. თუ სჭირდება, ახლა სჭირდება ქვეყანას ჩვენი სიყვარული და ერთგულება. დღეს თუ საქართველოში ვინმე იტყვის, პატრიოტიზმმა თავისი დრო მოჭამაო, ან ბრიყვია, ან ფლიდი.

პატრიოტიზმი არც ერთჯერადი გრძნობაა, არც პერიოდული. ან ხარ და ყოველთვის იქნები, ან არ ხარ და არც არასოდეს გახდები შენი ქვეყნის პატრიოტი. ჯერ ვერ ვიტყვი, რა ნიშნებს ატარებს 21!—ე საუკუნის საქართველო.

2!—ე საუკუნე ჯერ წინ არის, მაგრამ ძალიან მინდა, სწორედ პატრიოტიზმი იყოს მისი ერთ-ერთი მთავარი გამოსარჩევი ნიშანი.

ჯერ ჩვენ არ გვაქვს სხვანაირად ცხოვრების უფლება. მიმზიდველი, მაცდური მაგალითი ბევრია, მაგრამ იმათ სწორედ სამშობლოსთვის თავგანწირვით, სამშობლოს სამსახურით მოიპოვეს ამის უფლება. ნუ მოვიტყუებთ თავს, ანუ, შეგნებულად ნუ დავიმართებთ პოლიტიკურ სიბეცეს, თორემ ძვირი დაგვიჯდება. თბილისის თავზე ნამდვილად ქართული დროშა ფრიალებს, მაგრამ იმ დროშას ბევრი მტერი ჰყავს და არა მარტო დღეს და ხვალ, ყოველთვის, უკუნითი უკუნისამდე დასჭირდება დაცვა. დიდ სიხარულს თვალის ახელაც შეუძლია და თვალის ახვევაც.

რძით დამწვარი დოს უბერავდაო, მაგრამ ჩვენი თავგადასავლის ხალხს ნამდვილად არ გაემტყუნება ამგვარი გადამეტებული სიფრთხილე.

ალბათ თქვენც წაიკითხეთ აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებული, „24 საათში” გამოქვეყნებული პროექტი და, დამეთანხმებით, დაეჭვებისა და შეშფოთების საბაბს ნამდვილად იძლევა. მე მგონი, პოლიტიკურ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე. ყოველ შემთხვევაში, ჩემი აზრით, პროექტის ავტორები ბოლომდე ვერ არიან გარკვეულნი, თუ რა მოხდა აფხაზეთში სულ რაღაც ათიოდე წლის წინ და, ამავე დროს, მზად არიან, ორმოცი საუკუნის წინანდელი „დამსახურებისთვის” (რაც ჯერ კიდევ დასადგენია და გასარკვევი), საქართველოს განუყოფელი კუთხე აღიარონ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, რაც არძინბას მოდგმას სიზმრადაც არ მოლანდებია. სხვათა შორის, თავად ოკუპანტიც ვერ იფიქრებდა ალბათ, შესაძლებელი თუ გახდებოდა როდესმე ამგვარი რამ და ახლა სულგანაბული ელოდება ჩვენს გადაწყვეტილებას. ამიტომ, ვიდრე ასე გულუხვად და დაუფიქრებლად დავარიგებდეთ სტატუსებს, იქნება ჯერ გაგვებედა და, მსოფლიოსთვის თუ არა, საკუთარი ხალხისთვის მაინც გვეთქვა, რა მოხდა სინამდვილეში აფხაზეთში. ვიდრე ყველა ფრჩხილი არ გაიხსნება, ვიდრე მართალი არ გამართლდება და მტყუანი არ გამტყუნდება, ანუ, ვიდრე ჯალათს ჯალათის, მსხვერპლს კი მსხვერპლის სტატუსი არ მიეცემა, სხვა ყველანაირ სტატუსზე ლაპარაკი, მეტი რომ არ ვთქვათ, პოლიტიკური ლაფსუსია. მე თუ მკითხავთ, დღევანდელი აფხაზეთის თვითმარქვია ხელისუფლების ნებისმიერი მოთხოვნის შესრულება ტერორისტთა მოთხოვნათა შესრულების ტოლფასია და ღრმადა ვარ დარწმუნებული, მსგავსს არაფერს დაუშვებს ჩვენი პარლამენტი, საერთოდ, ჩვენი ხელისუფლება. ეს, უპირველეს ყოვლისა, იმ პოზიციისთვის მხარის დაჭერა იქნება, რასაც კატეგორიულად უპირისპირდება დღევანდელი პროგრესული მსოფლიო.

მეც, რასაც ვამბობ, გარკვეული სიფრთხილით ვამბობ, მაგრამ არც დაუნახაობა ვარგა:

ნამდვილად იცვლება ყველაფერი, თანაც საფუძვლიანად და, იმედი ვიქონიოთ, უკეთესობისკენაც.

უარესი უბრალოდ არ შეიძლება.

ისე, კაცმა რომ თქვას, ცოტა ძნელი წარმოსადგენია, ერთი ჩვეულებრივი ადამიანური სიცოცხლის მანძილზე ამდენჯერ გაწბილდეს კაცი, და, რაც მთავარია, ამდენჯერ გაწბილებულს,

მაინც შერჩეს უკეთესობის იმედი. არადა, შემრჩა. მჯერა ჩვენი საბოლოო გადარჩენისა. მჯერა, ერთხელაც იქნება, მართლა მივაფურთხებთ ეშმაკს, მართლა დავძლევთ სიხარბეს, პატივმოყვარეობას, შურს... და მართლა მოვიყრით თავს დაკარგული მიწების დასაბრუნებლად; გაქცეულთა, სულმოკლეთა, გადაგვარებულთა მოსაქცევად; თავგასული, გათავხედებული ბიუროკრატიის ასალაგმავად; ყველა „გადამდგარი" ხელისუფლების მაგინებელ და ყველა გამარჯვებულ ხელისუფლებასთან ერთნაირად შეხმატკბილებულ ხელოვანთა, მეცნიერთა თუ საზოგადო მოღვაწეთა სამხელად, რასაც თავისთავად მოჰყვება, დავუშვათ, არა მარტო შემოქმედებითი კავშირების, არამედ საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს საზიანოდ შეგნებულად შექმნილი ნებისმიერი საბჭოური სტრუქტურის რეორგანიზაციისა თუ ლიკვიდაციის საკითხიც. სხვანაირად, ამაოდ დავშვრებით. მეტი რომ არ ვთქვათ, უბრალოდ არაეთიკური საქციელი იქნება ჩვენგან, რუსები მავზოლეუმშიც აღარ აჩერებდნენ ლენინს, ჩვენ კი აქ, საქართველოში, თვალისჩინივით ვუფრთხილდებოდეთ მის დანატოვარს. ჩვენ ყველამ ერთად უნდა დავიცვათ სახელმწიფო დროშის ინტერესები.

ბოლო ორი საუკუნე იმიტომაც წარიმართა ჩვენი ცხოვრება ასე უკუღმართად, საკუთარ დროშას რომ არ ვემსახურებოდით. განა ჰამლეტის კითხვაზე ნაკლებად ტრაგიკულია ერეკლე მეორის უერთგულესი და უჭკვიანესი კანცლერის კითხვა?! მას შემდეგ, რაც საქართველოს მზე რუსეთის უკიდეგანო ტრამალებში ჩაესვენა, ვერ იქნა და ვერ გავარკვიეთ, ვისი დროშისთვის გვემსახურა, ვის დროშას შევწირვოდით, უაზრო, სიშლეგეში გადაზრდილი სიმამაცისა თუ უაღრესად პრაქტიკულ მოსაზრებათა გამო... მხოლოდ იმას შეუძლია ბედნიერ ადამიანად ჩათვალოს თავი, ვინც ამგვარი არჩევანის წინამე არ დაუყენებია ბედს. მხატვრულად რომ ვთქვათ, ბედნიერი ადამიანი თავის დროშიანად იბადება ამ ქვეყანაზე. ასე რომ, დიადი, დიდებული ისტორიული ფაქტის მოწმენი და, გარკვეული თვალსაზრისით, მონაწილენიც ვართ ყველანი.

მსგავსიც არაფერი მომხდარა ჩვენს სინამდვილეში ერეკლე მეორის შემდეგ. პირადად მე, მთელი სიცოცხლე ამგვარ დროშაზე ვოცნებობდი, უფრო სწორად, მინდოდა მეც მქონოდა, თუ

შეიძლება ასე ითქვას, მარტივი და უკეთილშობილესი სიმბოლო უანგარო სამსახურისა და შეგნებული თავგანწირვისა.

ოცნება, მგონი, ამიხდა, მაგრამ, სამწუხაროდ, გაცილებით მეტი დრო გავიდა ოცნებაში, ვიდრე სამსახურისთვის დამრჩა. თუმცა, დაუფარავი სიამაყით შემიძლია განვაცხადო, მწერლობაც ამ დროშის სამსახურია. ყოველ შემთხვევაში, ქართველი მწერალი ნამდვილად ვერ იქნები, თუკი ამ დროშის სამსახური არ დაგისახავს მიზნად, ცხადშიც და ოცნებაშიც, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. უფრო მეტიც, მწერლობა რომ არ ჰქონოდა საქართველოს, ძნელი სათქმელია, გაუთენდებოდა თუ არა დღევანდელი დღე, საერთოდ თუ შეინარჩუნებდა ეროვნულ თვითშეგნებას. მშობლიური ლიტერატურა, პირველ რიგში, პიროვნებასა და მოქალაქეს ზრდის ჩვენში. გენეტიკური წარმომავლობა სრულებითაც არ არის საკმარისი ჩვენი ეროვნულობის გასარკვევად, მით უფრო — გამოსავლენად. შეიძლება, დედ-მამით ქართველი იყო და არაფერი გაგეგებოდეს ქართველობისა, არ იცოდე, რას ნიშნავს, რა ხილია, იჭმევა თუ ისმევა... მთავარია, რომელი კულტურის ქურაში ხარ გამომწვარი თავიდანვე და რომელი ლიტერატურის მეშვეობით დაგიდგენია შენი ადგილსამყოფელი ამ ქვეყანაზე. მოკლედ, თუკი ბავშვობაში „შვლის ნუკრის ნაამბობის" კითხვისას ცრემლის გორგალი არ გაგჩხერია სასულეში, ანდა, თეატრის ხავერდოვან წყვდიადში ჩაკარგულს, გული სიამაყით არ გაგბერვია ხიმშიაშვილის გამოჩენაზე, ვერ ყოფილხარ მთლად სრულყოფილი ქართველი.

ესე იგი, ვერც სხვა ეროვნების კაცს გაუგებ ბოლომდე, ანუ, ვერც თავს არგებ და ვერც სხვას. ამიტომ, ყოველთვის მეტი სიფრთხილითა და მეტი პატივისცემით უნდა მოვეკიდოთ იმ კულტურას, რომლის მსახურადაც გაგვაჩინა განგებამ, გარემომ, აღზრდა-განათლებამ, ნათესავთა და მეგობართა წრემ, ყველაფერმა, რაც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის, როგორც სამყაროზე, ისევე საკუთარ თავზე. კულტურა უაღრესად „კერძო საკუთრებაა". იაპონიასა და გერმანიას, მიუხედავად მათი გეოგრაფიული თუ ეთნიკური სხვაობისა, შეუძლიათ სავსებით იდენტური სამრეწველო საქონელი შექმნან, მაგრამ ვიდრე განსხვავებული კულტურები ექნებათ, ერთი ყოველთვის იაპონიად დარჩება, მეორე — გერმანიად. აქედან უნდა ამოვდიოდეთ

ჩვენც, როცა მეობის, თვითმყოფადობის გადარჩენას ვისახავთ მიზნად. ანუ, ჯერ ის უნდა გავარკვიოთ, გვინდა თუ არა ვიყოთ ქართველები და მერე ყველამ ერთნაირად უნდა ვირწმუნოთ, რომ ქართველობას მხოლოდ ქართული კულტურა შეგვინარჩუნებს.

დღეს, 21—ე საუკუნის დასაწყისში, როცა "ეთნიკური სიჭრელე ლამის მთელი მსოფლიოსთვის ბუნებრივ მოვლენადაა ქცეული, ეროვნული კულტურის სულ უმნიშვნელო, წამიერი იგნორირებაც კი შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს ნებისმიერი ქვეყნისთვის და მათ შორის, რასაკვირველია, ჩვენთვისაც.

ბაბილონის გოდოლი მოგონილი იქნება.

პირველ რიგში, ამ მიმართულებით უნდა ჩატარდეს ჩვენთან რეფორმები და, როგორც ყველაფერში ვბაძავთ ხოლმე, ამაშიც უნდა მივბაძოთ ევროპის ქვეყნებს, ამერიკას, თუნდაც იმავე რუსეთს, და აუცილებლად უნდა შევქმნათ აქაც საერთო-საგანმანათლებლო სივრცე, სადაც თანაბარი უფლება და ერთნაირი პირობები ექნება ყველას სახელმწიფო ენაზე სწავლისა, სულერთია, წარმოშობით ქართველია ის, თუ არაქართველი. თუ საქართველოში მცხოვრებ არაქართული წარმომავლობის მოსახლეობას მართლა ვთვლით საქართველოს მოქალაქეებად (რაც სავსებით ბუნებრივია), და თუ ისინიც მზად არიან, იყვნენ საქართველოს მოქალაქეები (რასაც დღეს ნამდვილად ვერ ვიტყვით!), იმით კი არ უნდა ვკოპწიაობდეთ, თუ რამდენ არაქართულ სკოლას ინახავს ჩვენი ისედაც მწირი ბიუჯეტი, არამედ კიდევ რამდენი არაქართული წარმომავლობის მოქალაქე დაეუფლა სრულყოფილად ქართულ ენას და ცხოვრობს საქართველოს ცხოვრებით. არაქართული ეთნოსი უცხო სხეულად კი არ უნდა დარჩეს ქართულ ყოფაში, არამედ ყველანაირად უნდა მოერგოს ქართულ ყოფას, თუკი მისთვის და, აქედან გამომდინარე, ქვეყნისთვისაც სიკეთე გვსურს. ჩვენი არასწორი საშინაო პოლიტიკის გამო, არაქართული წარმოშობის მოქალაქეები, ძირითადად, ისევ ისტორიულ სამშობლოებზე არიან ორიენტირებულნი, უფრო სწორად, მაინც იმის განუყოფელ ნაწილად თვლიან თავს და ამას არც მალავენ.

ჩვენს მიწაზე კი ცხოვრობენ, მრავლდებიან კიდეც, მაგრამ არც ქართულ წიგნს ემატება მკითხველი და არც ქართულ თე-

ატრს მაყურებელი.

ალბათ თქვენც იტყვით, მწერლობა სად არის, რას აკეთებს ამ მართლაც სავალალო მდგომარეობის გამოსასწორებლადო, მაგრამ მწერლობას არაფრის გამოსწორება არ შეუძლია, მით უფრო — შეცვლა. უფრო სწორად, მწერლობის ამოცანა სხვაა და ალბათ გაცილებით მნიშვნელოვანიც, ვიდრე რამის შეცვლაა. მწერლობა არსებულს კი არ ცვლის, ახალს ქმნის, ქმნის მეორე სინამდვილეს, იგივე თავშესაფარს, ოღონდ, მხოლოდ იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც თავიანთი მიდრეკილებებისა თუ მონაცემების გამო, გარკვეული ურთიერთობა აქვთ მწერლობასთან და ამდენად, კაცობრიობის უმცირეს ნაწილს წარმოადგენენ. ცხოვრებისეულ პრობლემებში ჩარევა, კონკრეტული ცვლილებებისთვის ბრძოლა მასმედიის პირდაპირი მოვალეობაა.

ჩვენში რომ ვთქვათ, ამისთვის არსებობს საერთოდ, როგორც რევოლუციების მარადი თანამგზავრი, სიმართლის დაუქანცველი მაძიებელი და, რაც მთავარია, ერთნაირად ხელმისაწვდომი, ერთნაირად გასაგები საზოგადოების ნებისმიერი ფენისთვის, ნებისმიერი წარმომადგენლისთვის. მწერლობა საზოგადოების სარკე კია, მაგრამ სარკეც წიგნივით შეგიძლია გადადო გვერდზე. ამაზე უკვე ვილაპარაკეთ ზემოთ. მასმედია კი, დაუპატიჟებელი და, ცოტა არ იყოს, თავხედი სტუმარივითაა, მაშინ შემოგეჭრება შინ, როცა მოეპრიანება და ამისთვის მრავალნაირი საშუალება გააჩნია. საღი, გონიერი, ენერგიული მასმედიის გარეშე სერიოზული სახელმწიფო არ არსებობს. მასმედიის სიავკარგე განსაზღვრავს არა მარტო ქვეყნის კეთილდღეობას, არამედ ხელისუფლების ხარისხსაც, უფრო მეტიც, მასმედია ამკვიდრებს ახალ ფორმაციას, ახალ წყობილებას, ახალ სისტემას, ბოლოს და ბოლოს, ახალ რეჟიმს და ახალ საზოგადოებასაც, ახალ ტიკებში ისევ ძველი ღვინო რომ არ ჩაისხას, თორემ ნებისმიერი რევოლუცია საჩვენებელი სპორტული ღონისძიების დონეზე ჩაივლის და უარაფროდ დამთავრდება. ჩვენს საზოგადოებას, სულ ცოტა, გასული საუკუნის 60—იანი წლებიდან მოყოლებული, ჯერჯერობით, ნირიც არ შეუცვლია, ანუ ნებისმიერ ხელისუფლებასთან შეხმატკბილებული, ყველაფრისთვის მზად

მყოფი და ყველაფრის მკისრებელი ხალხითაა დღესაც „დაკომ-პლექტებული".

ხოლო მასმედია, რომელსაც არ შეუძლია, ანდა, კიდევ უარესი, შეუძლია, არ განასხვაოს ტყუილი სიმართლისგან, ყალბი ნამდვილისგან, რასაკვირველია, ვერასოდეს დადგება მოწოდების სიმაღლეზე, ვერ იქნება სიმართლის მკვლევარი და, მით უმეტეს, სიმართლის მსახური. მაგრამ ყველაფერში მასმედიის დადანაშაულება დიდი უსამართლობა იქნება ჩვენგან. ეს უფრო ჩვენი ისტორიული უიღბლობის ბრალია. ერეკლეს მეზარბაზნეებისა არ იყოს, მაინცდამაინც, გადამწყვეტ მომენტში შეგვეყრება ხოლმე ავადმყოფობა.

ასე დაემართა ჩვენს მასმედიასაც. აშკარად ვერ მოასწრო გარდაქმნა და საბჭოური რეჟიმისთვის გამიზნული, არა მარტო კონკრეტული სიტუაციისთვის აღმოჩნდა მოუმზადებელი, არამედ საერთოდ თავისუფლებისთვის.

გალიიდან კი გამოუშვეს, მაგრამ უკვე ფრენას გადაჩვეული და, რაკი თავიდანვე არასწორად განუმარტეს თავისუფლების არსი და ბუნება, წერისა და მეტყველების ელემენტარული ნორმების დაცვაზეც აიღო ხელი.

სხვათა შორის, 60—იანი წლების საქართველო, რომელიც თქვენ, რასაკვირველია, ლიტერატურულ ასპექტში ახსენეთ, არც ამ თვალსაზრისით განსხვავდება დიდად დღევანდელი საქართველოსგან. უფრო სწორად, ჯერ კიდევ მაშინ ჩამოყალიბდა დღევანდელობისთვის დამახასიათებელი ბევრი ნიშან-თვისება. მაგალითად, მდაბიური ენამოსწრებულობა თუ პროვინციული სითამამე; საკუთარი კულტურის იგნორირება, თუ „კურიოზებისკენ" დაუოკებელი სწრაფვა, რაც არათუ კიდევ უფრო აუფერულებს და აღარიბებს ჩვენს ისედაც „მოწყენილ ცხოვრებას" (ილიას სიტყვებია), არამედ გარდუვალი კატასტროფის, ყოველ შემთხვევაში, აშკარად რაღაც ცუდისა და საშიშის წინათგრძნობას ბადებს ყველა ჩვენგანის გულში. რაც შეეხება მწერლობას, სამოციანელებისთვისაც ის იყო განსაკუთრებულად ძვირფასი, რაც დღევანდელობისთვისაა.

საერთოდ, მწერლობა ერთი უწყვეტი პროცესია (უნდა იყოს, არაფერმა არ უნდა შეაფერხოს ხელოვნურად) და მისი დაყოფა დროის გარკვეულ ეტაპებად, პირადად მე, სწორად არ მიმაჩნია.

კარგი და ცუდი ყოველთვისაა. აუცილებელიცაა მათი ერთად ყოფნა. ცუდი განაპირობებს კარგს, კარგი წარმოაჩენს ცუდს. მთავარია, ყოველთვის უშეცდომოდ ვიცოდეთ, რომელია ნამდვილად კარგი და რომელია ნამდვილად ცუდი. ამის არცოდნა ისევ მედროვის წისქვილზე ასხამს წყალს, რომელსაც, თავისთავად ცხადია, პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, ხმის აუკანკალებლად შეუძლია დრომოჭმულად გამოაცხადოს, ვთქვათ, საბჭოთა ეპოქაში შექმნილი ყველა კარგი ნაწარმოები და, კიდევ უარესი, პროგრესულ, გნებავთ, დისიდენტურ ლიტერატურად გაასაღოს დღეს, რაც საბჭოეთშიც ნაგავად ითვლებოდა და დღის სინათლეს ვერ ნახულობდა, არა „უიდეობის", არამედ, მხოლოდ და მხოლოდ უნიჭობისა და მდარე ხარისხის გამო. მწერლობა პოლიტიკურ ცხოვრებაში არ ერევა (არ უნდა ერეოდეს), თორემ, პოლიტიკასთან პირდაპირაა დაკავშირებული. მწერლობა მარადიული ოპოზიციაა და ეს ყველა ხელისუფალმა იცის.

ამიტომ, ზოგი მის მოსყიდვას ცდილობს, ზოგი მოსპობას, ძირითადად დამცირებით, იგნორირებით, უგულებელყოფით. მაგრამ ორივე შემთხვევაში ცდება. არც მოსყიდვა შეიძლება მისი, არც მოსპობა. ხელისუფალს მწერლობა უნდა უყვარდეს, პატივს უნდა სცემდეს, თუ უნდა, რომ თავადაც გახდეს სიყვარულისა და პატივისცემის ღირსი. ეს, რასაკვირველია, სრულებითაც არ ნიშნავს იმას, თითქოს მწერლები ანგელოზები არიან და ჯერ არაფერი შეუცოდავთ. მწერლებში დღესაც ბევრია — და 60—იან წლებშიც ბლომად იყო — მედროვე, კარიერისტი, პატივმოყვარე და მიწიერ სიამეთა ყურმოჭრილი მონა.

მედუზასა და ვეშაპს თითქოს არაფერი აქვს საერთო, მაგრამ ორივე ერთნაირად ოკეანის შვილია. ჩვენც ჩვენი დიდი მწერლობის, ჩვენი მხატვრული სტიქიის შვილები ვართ და მიუხედავად პირადული ნაკლისა თუ ღირსებისა, ერთნაირად ვიმსახურებთ მის წიაღში არსებობის უფლებას, ანუ, მომავალშიც მხოლოდ მისი წყალობით შევძლებთ ხალხში გამოსაჩენი პირის შენარჩუნებას...

ესაუბრა ლელა ოჩიაური ჟურნალი „მნათობი", №1, 2006,

ვარაუდი

— ბატონო ოთარ, თქვენზე ამბობენ, განზე გადგა, თავს არიდებს მასმედიაში გამოჩენას, რამე მოვლენის შეფასებასო. მართლაც იშვიათია თქვენი ტელეეკრანზე ან გაზეთის ფურცლებზე გამოჩენა. ეს კონკრეტული გარემოს გამო ხდება, თუ მიუხედავად დროისა და პირობებისა, მაინც ასე მოიქცეოდით?

— ეტყობა, ჯერ ის უნდა გავარკვიოთ, თუ რას ვეძახით „განზე გადგომას". ამის გარკვევა კი აუცილებელია, მით უფრო დღეს, როცა ყველას მარტო ის ესმის, რისი მოსმენაც თავად სურს და სრულებითაც არ აინტერესებს, რას ფიქრობს სხვა, თუკი ისე არ ფიქრობს, როგორც მისთვის იქნება მისაღები. უფრო მეტიც, ოდესღაც განსწავლული, კულტურული, მაღალი ზნეობის მატარებელი ჩვენი საზოგადოება, დღეს უვიცობის, უკულტურობის, უზნეობის ჭაობში დგას ყელამდე და არც საკუთარი აზრის გამოთქმის სურვილი აწუხებს, არც სხვისი აზრის მოსმენისა.

ასე რომ, არ მგონია, მაინცდამაინც, ჩემი მოსაზრება აინტერესებდეს ვინმეს ამა თუ იმ მოვლენასთან დაკავშირებით. არაერთგზის გამოთქმული ჩემი მოსაზრებები ცალკე წიგნადაც კი გამოვეცი, თუნდაც, ამგვარი შეკითხვების ასაცილებლად, მაგრამ ის წიგნი, აგერ უკვე მესამე წელია, ამაოდ ელოდება მასმედიის ყურადღებას. არადა, თქვენ, ჟურნალისტებმა, უკვე იმდენჯერ დამისვით მსგავსი შეკითხვა, ცოტა არ იყოს, დავიბენი, მართლა ხომ არ ვარ განზე გამდგარი-მეთქი.

ამიტომ, თქვენი ნებართვით, ერთხელ კიდევ გავიმეორებ: ვერ გავიხსენებ შემთხვევას, კომუნისტურ ეპოქაშიც კი, თავი ამერიდებინოს „რაიმე მოვლენის შეფასებისთვის", მით უფრო, თუკი ის „რაიმე მოვლენა" ნამდვილად მნიშვნელოვანი ყოფილა და, რაც მთავარია, თუკი იმ „რაიმე მოვლენასთან" დაკავშირებით, მაინცდამაინც, ჩემი შეხედულებით დაინტერესებულა ვიღაცა მაინც.

არსებობს დროის მოთხოვნები და არსებობს დროის მოთხოვნებს ამოფარებული მზაკვრული ჩანაფიქრები. მაგალითად, წიგნისადმი ინტერესის შესუსტება დროისმიერი სიმპტომია, სულერთია, ავისა თუ კარგის მაუწყებელი, მაგრამ ამ სიმპტომის მოშველიებით საერთოდ მწერლობის უგულებელყოფა თუ უარყოფა, რასაკვირველია, მზაკვრული ჩანაფიქრია და ვინც მხო-

ლოდ და მხოლოდ გაჭირვების ჟამს მოიკითხავს ხოლმე მწერლებს, სად არიანო, ნებსით თუ უნებლიეთ, ამ განზრახვის ასრულებას უწყობს ხელს. მწერლები ყოველთვის იქ არიან, სადაც უნდა იყვნენ. ბოდიშს კი ვიხდი ერთისა და იმავეს გამეორებისთვის, მაგრამ მწერლის დანიშნულება წერაა! საბედნიეროდ, ლიტერატურული პროცესიც, როგორც ნებისმიერი ბუნებრივი პროცესი, მარადიულია და თუ შეგნებულად არ შევაფერხებთ, კაცობრიობის ფიზიკურ არსებობასთან ერთად შეწყდება მხოლოდ. მწერლობაში თაობები ერთმანეთს კი არ უპირისპირდებიან, როგორც საქმეში ჩაუხედავ კაცს შეიძლება მოეჩვენოს, არამედ ერთმანეთს აგრძელებენ და ამდიდრებენ თავიანთი განსაკუთრებულობით.

რასაკვირველია, არც ნოვატორობაა ტრადიციის უარყოფა. პირიქით, ტრადიციის აღიარებაა და კიდევ ერთი ცდაა მისი (ტრადიციის) ახლებურად, მე ვიტყოდი, დროის მოთხოვნათა გათვალისწინებით და, თავისთავად ცხადია, წინამორბედებზე უკეთესად წარმოჩენისა. ვისაც სხვანაირად ესმის ან ტრადიციულობა, ან ნოვატორობა — ასეთი კი, სამწუხაროდ, დღეს მრავლად მოიძებნება ჩვენში — რა თქმა უნდა, სასიკეთოს ვერც ვერაფერს მოიმოქმედებს, ვერც შექმნის.

მწერლობაში ყველა თაობას თავისი გზა აქვს და, თუკი მიზანი საერთოა, გზათა სიმრავლე მხოლოდ მისასალმებელია. ოღონდ, ვიმეორებ, მიზანი უნდა იყოს საერთო და აუცილებლად ეროვნული. მღვრიე წყალში თევზივით დაჭერილი „სახელი” და „დიდება” სწრაფწარმავალი მირაჟია და ზოგადად მწერლობაზე ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს. როგორც უკვე მრავალჯერ თქმულა, მწერალი მხოლოდ ნაწერით ფასდება, რაც არ უნდა ოპერატიულად ჩნდებოდეს ტელეეკრანზეც და გაზეთის ფურცლებზეც. რაც შემეხება მე, ჩემი შეცვლა უკვე ნამდვილად ძნელია. ალბათ დაგვიანებულიც. მთელი სიცოცხლე (რა თქმა უნდა, ჩემი თვალსაზრისით) ვდგავარ იქ, სადაც უნდა ვიდგე და არა იქ, საიდანაც უკეთ გამოვჩნდები ყველასთვის, როგორც ჩემი საქმიანობით გულწრფელად დაინტერესებული ხალხისთვის, ისევე სანახაობებს, ანუ, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, შოუს დახარბებული მასისთვისაც... ასე რომ, „მიუხედავად დროისა

და პირობებისა”, ყოველთვის ისე მოვიქცევი, როგორც საერთოდ ვიქცევი ხოლმე.

ჩემი თვალსაზრისით, გნებავთ, ჩემი გამოცდილებითა და დაკვირვებით, ბევრად სჯობს, ვერ ხედავდე, მაგრამ გრძნობდე, ვიდრე ხედავდე და ვერ გრძნობდე. თუკი ვინმე გრძნობს საკუთარ თავთან მარტო დარჩენილი ადამიანის სატკივარსა და საფიქრალს, ყველაზე უკეთ მწერალი გრძნობს, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს ის ადამიანი, მის გვერდით თუ მისგან უსაშველოდ შორს. აუცილებლად უნდა გრძნობდეს, თუკი მართლა მწერალია, რადგან სხვანაირად, ადამიანიც განწირულია და მწერალიც. მწერალი მსაჯული არ არის, არც ამართლებს, არც ამტყუნებს მარადიულ სიმარტოვეში ჩარჩენილ და, თუნდაც მარტო ამიტომ, ნებისმიერი ცოდვისგან დაუცველ ადამიანს. მწერალი, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ცდილობს საკუთარ კისერზეც იწვნიოს, გნებავთ, თვითონაც განიცადოს, რაც იმას გადახდენია სიყვარულის თუ სიძულვილის, ვერაგობის თუ ერთგულების, გულადობის თუ სიმხდალის წილ და განცდილი მოყვეს, როგორც ზოგადად ადამიანის თავგადასავალი. რაც ერთ ადამიანს შეიძლება გადახდეს თავს, მთელი კაცობრიობისათვისაა დამახასიათებელი.

მოკლედ, არ ვიცი, რამდენად დაგაკმაყოფილებთ ჩემი პასუხი, მაგრამ დამეთანხმებით, მწერალი არც ყოვლისმცოდნეა და არც ყოვლისშემძლე, თუნდაც, ჩვენი საუბრიდან გამომდინარე. ამიტომ, ნურც ჩვენ მოვთხოვთ იმაზე მეტს, ვიდრე შეუძლია და ევალება. მინდოდა მეთქვა, ვაცალოთ, იტანჯოს თავისთვისმეთქი.

მწერალი წერს, ცხოვრება მიდის...

— და მაინც, რა მნიშვნელოვანი მოვლენები მოხდა ჩვენს ცხოვრებაში ამ ბოლო დროს და რომელს ჩათვლიდით განსაკუთრებულად აღნიშვნის ღირსად?

— ჩვენს ცხოვრებაში იმდენი მნიშვნელოვანი რამ ხდება, ჩამოთვლაც გაგვიჭირდება.

რაც მთავარია, ყველა მათგანი, ჩემი ვარაუდით, გაცილებით სერიოზულია, ვიდრე ერთი კაცის (გინდაც ის კაცი მწერალი იყოს) „განზე გადგომაა”. სიმართლე გითხრათ, მეშინია კიდეც ჩემი მოსაზრების გამოთქმა ამ მოვლენებთან დაკავშირებით,

ოღონდ, იმიტომ კი :რა, ვიღაცას რომ გავაღიზიანებ, არამედ ვიღაცას მაინც რომ გადავდებ აქამდე გულში დამარხულ შიშს. თუმცა, მწერლის ნებისმიერი მოსაზრება, მხოლოდ და მხოლოდ ვარაუდია და უფრო ფანტაზიის ნაყოფია, ვიდრე ფაქტებზე დაფუძნებული ინფორმაცია.

მწერალი საერთოდ ვარაუდებით აზროვნებს.

ყველა მხატვრული ნაწარმოები, გარკვეული თვალსაზრისით, ვარაუდია. ესე იგი, სინამდვილეში კი არ ხდება, რაც ხდება, არამედ დასაშვებია (და ალბათ მიზანშეწონილიც) სინამდვილეშიც ხდებოდეს. ვარაუდები კი ნამდვილად შემაშფოთებელია, თუნდაც, დავით აღმაშენებლის ძეგლთან დაკავშირებით.

ალბათ დამეთანხმებით, დავით აღმაშენებლის ძეგლის გადაადგილება უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენაა, უაღრესად მტკივნეულიც და უაღრესად საჩოთიროც.

დავით აღმაშენებლის ძეგლი არა მარტო მხატვრული ნაწარმოებია, არამედ იდეურ-პოლიტიკური სიმბოლოც. ამიტომ, მის გადასაადგილებლად გაცილებით სერიოზული მიზეზებია საჭირო, ვიდრე ოფიციალურად დასახელდა.

და მაინც, ეკლესიასტესი არ იყოს, ახალი და უჩვეულო არაფერი ხდება. განა ლენინსაც ისევე არ აღიზიანებდა პატრიოტიზმი და ეროვნულობა, როგორც გლობალიზაციის დღევანდელ მესვეურებს აღიზიანებთ?

ვისაც გლობალიზაცია არათუ გარდუვალ უბედურებად, არამედ სასურველ მოვლენადაც მიაჩნია, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, სწორედ ეროვნულ ფენომენებს უნდა დაუპირისპირდეს: ენას, ოჯახს, მეურნეობას, მეცნიერებას, ზემოთ ნახსენებ ძეგლს, ანუ კულტურას მთლიანად, და, თავისთავად ცხადია, მწერლობასაც. მწერლობასაც კი არა, მწერლობას, როგორც მთავარ დაბრკოლებას, როგორც პატრიოტიზმისა და ეროვნულობის სკოლას.

დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ქართული მწერლობის წინააღმდეგ ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქაში დაიწყო გეგმაზომიერი და მიზანდასახული შეტევები, რაც, სამწუხაროდ, დღესაც გრძელდება და საკმაოდ წარმატებულადაც. ჩვენს თვალწინ ინგრევა თავად ცნება მწერლობისა, როგორც ხალხის სულიერი და ზნეობრივი მთლიანობისა.

ისევ ჩემი ვარაუდით, ვიღაცას ძალიან უშლის ხელს თავად ქართული მწერლობა, როგორც უაღრესად ეროვნული ფენომენი, და არა, ვთქვათ, ხუთასწევრიანი მწერალთა კავშირი. რაკი სიტყვამ მოიტანა, სხვათა შორის, სწორედ ხალხის სულიერი და ზნეობრივი მთლიანობის სიმბოლოდ შეიქმნა თავის დროზე, ჯერ კიდევ 1917 წელს, საქართველოს მწერალთა კავშირიც, ანუ, განსხვავებულთა, თავისებურად მოაზროვნეთა ტაძრად და არა მსგავსთა, ერთნაირთა გასამრავლებელ სათბურად, როგორადაც საბჭოეთის თავგამოდებულ მოხელეებს სურდათ ექციათ და, გარკვეული თვალსაზრისით, აქციეს კიდეც.

მაგრამ რაკი ქართული მწერლობა და მწერალთა კავშირი ჩვენი ხალხის ცნობიერებაში დიდი ხანია ერთმანეთთანაა გაიგივებული, ამიტომ, დღეს, დემოკრატიისთვის მებრძოლი ხელისუფლებისგან თითქოს უფრო მოსალოდნელია ამ სტრუქტურიდან კომუნისტური იდეოლოგიის ნარჩენების აღმოფხვრა და მისთვის თავდაპირველი ფუნქციისა და სულისკვეთების დაბრუნება, ვიდრე მისი, როგორც შემოქმედებითი გაერთიანების, საერთოდ თავიდან მოშორება, ჩვენი დიდებული კლასიკოსების აჩრდილებთან ერთად.

მაგრამ, ჯერჯერობით, ჩვენს თვალწინ, ასპარეზიდან ქრებიან საუკუნოვანი ჟურნალები, რომლებიც, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, მეცნიერულად დასაბუთებული გამოკვლევებითა თუ საპროტესტო სტატიებით, ყოველთვის დროულად იგერიებდნენ ქართული კულტურისა და საერთოდ საქართველოს წინააღმდეგ თითქმის განუწყვეტელ, ლამის დაკანონებულ გამოხდომებს. ჟურნალი „მნათობი", რომლის გაქრობაც მასმედიის მუშაკებს, მგონი, არც შეგიმჩნევიათ, მარტო იმიტომ იყო თვალისჩინივით გასაფრთხილებელი, ერთ-ერთ უაღრესად აკადემიურ და პრესტიჟულ ჟურნალად რომ ითვლებოდა მსოფლიოს ქართველოლოგებისთვის.

ჟურნალი, ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი მძლავრი თავდაცვითი იარაღია ჩვენსავით ბედის ამარა დარჩენილი ხალხისთვის, თუკი მისი მიზანი ქვეყნის სამსახური, ქვეყნის ინტერესების დაცვაა და არა, დავუშვათ, ვიღაც ვიგინდარა მეტროსექსუალის საცვლების ქექვა. ამგვარი ჟურნალები ყველაზე უკეთ წარმოაჩენენ ქვეყნის ინტელექტუალურ დონეს, მოქალაქეობრივ

პოზიციას. თუნდაც ამიტომ არ შეიძლება მათი გაქრობა, თუკი ხვალაც ქვეყნად ვაპირებთ დარჩენას...

— რას ფიქრობთ საქართველოს კულტურულ ცხოვრებაზე?

— მე მგონი, რაც ზემოთ ვილაპარაკე, კულტურასაც ეხება. თუმცა, არა ვარ დარწმუნებული, კომპეტენტური ვიყო ამ საკითხში.

კულტურა დიდ სივრცეებს მოიცავს, გამოვლენის უამრავი ხერხი და საშუალება გააჩნია და გარკვეული მომზადებაა საჭირო, მისი შემჩნევა და, რაც კიდევ უფრო ძნელია, მისი შეფასება შეძლო. კულტურა სულიერ არსებასავით იზრდება, ვითარდება, თქვენ წარმოიდგინეთ, მრავლდება კიდეც, და თავდაცვის ინსტინქტიც გააჩნია, ესე იგი, თუკი საფრთხეს იგრძნობს, აუცილებლად „დაიმალება" ნებისმიერ ცოცხალ არსებასავით. გულისტკივილით უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი კულტურის ზოგიერთმა წარმომადგენელმა „დამალვა" პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო და, როგორც კი შესაძლებლობა მიეცა, საერთოდ გაიხიზნა სამშობლოდან, გაითქვიფა უცხო კულტურაში, რაც, მხოლოდ და მხოლოდ, პიროვნების, გნებავთ, პიროვნულობის საფუძველთა საფუძვლის, ეროვნული შეგნების დაქვეითებით შეიძლება აიხსნას.

თუკი მონობის დასაწყისში, სამშობლოს მიტოვება, ოთხი წლითაც კი, დიდ უბედურებად ითვლებოდა და ენით აუწერელ სულიერ ტანჯვას გვაყენებდა („იცი, მკითხველო, ის ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია?!..

მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია"), დღეს, ასე ვთქვათ, მონობის დასასრულს, ოთხი წლის ბავშვები უკვე ჩვენი ნებით გაგვყავს უცხოეთში და იქაურად ვზრდით, გამოხედვაც რომ აღარ მოუნდეთ აქეთ. ჩემი აზრით, ეს არა მხოლოდ სისხლის სამართლის ტოლფასი დანაშაულია, არამედ ჩვენი უკულტურობის ყველაზე მკაფიო და ამაზრზენი გამოხატულებაც. რასაკვირველია, ნებისმიერი ხელოვანი უფლებამოსილია ისე იცხოვროს, როგორც თავად მიაჩნია სწორად.

ისიც ჩვეულებრივი ადამიანია და რადგან ადამიანია, თანაც ჩვეულებრივი, პატივმოყვარეც გახლავთ, თბილისის სცენას, რა

თქმა უხდა, ნიუ-იორკის, ლონდონის, პარიზის, ანდა სულაც მოსკოვის სცენა ურჩევნია.

ცხოვრებისეულ სხვა ცდუნებებს თავი რომ გავანებოთ. იქ (უცხოეთში) მეტ ფულს შოულობს, აქ კი (სამშობლოში) მეტი პატივით სარგებლობს სწორედ გაუცხოების გამო, რაც ისევ ჩვენს მონურ ბუნებაზე მეტყველებს მხოლოდ. ჩემი მოკრძალებული აზრით, ანგარებით იცვლის ხელოვანი სამშობლოს, თუ იძულებით, მაინც ერთს უნდა დასჯერდეს, ერთით უნდა დაკმაყოფილდეს: ხან აქ, ხან იქ, ანდა, იქაც და აქაც, სხვა რომ არ ვთქვათ, უსვინდისობაა, მავნე, უაღრესად სახიფათო ფსიქიკის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, განსაკუთრებით, რწმენადაკარგულ და ცხოვრებას დახარბებულ ხალხში. გაგარეულებულმა თუ გადაგვარებულმა ხელოვანმა ან არ იცის, ვერ ხვდება, რას სჩადის და ეს პირადი უკულტურობით მოსდის, ანდა ჯიუტად, უტიფრად აგრძელებს მონობის ორსაუკუნოვან, მავნებლურ ტრადიციას, რაც ჩვენი საერთო უკულტურობის ბრალია...

როგორც ვაკვირდები, კულტურაზე —მეტად, უკულტურობაზე ვლაპარაკობ, მაგრამ, ჩემი თვალსაზრისით, სინამდვილეც უკულტურობის გაცილებით მეტ მაგალითს გვთავაზობს, ვიდრე კულტურისა. უკულტურობაა (და აქედან იღებს ყველაფერი სათავეს) მშობლიური ენისადმი აგდებული, ცინიკური დამოკიდებულება, უფრო სწორად, მშობლიური ენის შეგნებული იგნორირება.

კიდევ უფრო სწორად კი, მშობლიური ენის არცოდნა.

არ ვიცით, მადლობა და ბოდიში უნდა მოვიხადოთ თუ გადავიხადოთ; არ ვიცით, ესა თუ ის საქონელი, პროდუქტი, საოფისე ფართი, საწარმო, სტრატეგიული ობიექტი, ანდა სულაც სამშობლო იყიდება თუ გაყიდვაშია; დარტყმა გავაკეთეთ და დავარტყით; მოვახდინეთ გასროლა თუ გავისროლეთ...

კიდევ უფრო დიდი უკულტურობაა წიგნის უარყოფა და კომპიუტერის გაფეტიშება, მით უფრო, განათლების ისეთი დაბალი დონის ქვეყანაში, როგორიც ჩვენი ქვეყანაა. წიგნი გვაძლევდა ცოდნას, კომპიუტერი გვაძლევს ინფორმაციას, რომლის გამოყენებაც არ შეგვიძლია უცოდინრობის გამო. ამას ჰქვია ეშმაკის ბორბალი, ანუ, მოჯადოებული წრე:

ვითომ წინ მივისწრაფით და ადგილზე ვბრუნავთ.

კომპიუტერი არც ადამიანის გამოსაშტერებლად არის მოგონილი და არც ანტიადამიანური იდეოლოგიის დასამკვიდრებლად.

ცივილიზაციის ეს ერთ-ერთი უდიადესი მონაპოვარი ისევ და ისევ ადამიანის ამქვეყნიური არსებობის გასაიოლებლად არის შექმნილი, როგორც თავის დროზე, ვთქვათ, კომპასი შეიქმნა, ელექტრონათურა, მუდმივი საწერკალამი, კალკულატორი და ასე შემდეგ, ასე შემდეგ, უსასრულოდ... ცივილიზაცია, თავისი არსით, დამპყრობელია. მისთვის არც საზღვრები არსებობს, არც გამონაკლისი — მიმსახურე და დამემონე — აი, მისი ლოზუნგი.

კომპიუტერითაც ამ ლოზუნგს ამკვიდრებს ჩვენს შეგნებაში. ერთადერთი, ვისაც თავად ემონება, კულტურაა. ამიტომ, რაც უფრო კულტურულია ადამიანი, მით უფრო მეტ სიკეთეს გამორჩება ცივილიზაციას. ჩვენი ხსნაც ისევ და ისევ კულტურაა. კულტურა გვაძლევს სახესა და სახელს, რითაც გამოგვარჩევს სხვებისგან და, იმავე დროს, სისხლხორციელად გვაკავშირებს ყველასთან, ვისაც არა მარტო შექმნა, არამედ სხვისი შექმნილის დანახვა და დაფასებაც შეუძლია.

ჩვენი ყველაზე დიდი „ნაკლი" ისტორიაში იძულებითი შეფერხებაა, რის გამოც საკმაოდ ჩამოვრჩით ბუნებრივად განვითარებულ ქვეყნებს და ბევრი რამ, კანონზომიერ მოვლენად, ანდა „საყოფაცხოვრებო საქონლად" კი არა, ზღაპრულ საოცრებად იქცა ჩვენთვის, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა ჩვენი არაბუნებრივი, საერთო პროვინციალიზმი — დაუშრეტელი სათავე ქვეშევრდომული მიდრეკილებებისა და მიმბაძველობის დაუოკებელი ჟინისა, რაც, სამწუხაროდ, ცხოვრების წესადაც ვაქციეთ.

მოკლედ, ახლა ის დრო გვიდგას, როცა არცოდნა ყველაზე დიდი ცოდვაა. დღეს აუცილებლად უნდა ვიცოდეთ ყველამ, ვინ ვართ, რატომ ვართ, რა გვევალება, რატომ ხდება, რაც ხდება და, რაც მთავარია, რატომ გვინდა (თუკი მართლა გვინდა) ქართველებად დარჩენა ბოლომდე, უკუნითი უკუნისამდე.

რასაკვირველია, ახალი მართლაც არაფერი ხდება ამ ქვეყანაზე. „ღამურა" მეცხრამეტე საუკუნეში დაწერა აკაკიმ და, არა

მარტო ქართველს, ნებისმიერი ეროვნების კაცს შეუცვლია რჯულიც, სამშობლოც...

ამის მაგალითი, სამწუხაროდ, ძალიან ბევრია მსოფლიოში. მაგრამ, რაც არ უნდა უსიამოდ ჟღერდეს დღევანდელი კოსმოპოლიტებისთვის, სამშობლო მაინც ერთია, ერთადერთია, უფალივით, და ჩვენი საქმე მაშინ წავიდა ცუდად, როცა რაფიელ ერისთავის ეს დიდებული ლექსი პირტიტველა ყმაწვილების საქილიკო გავხადეთ. საიდანაც არ უნდა შემოვკრათ ცული სამშობლოს უწმინდეს ცნებას, მისი ამოძირკვა ადამიანის სულიდან და ფსიქიკიდან შეუძლებელია. ყოველ შემთხვევაში, ის უკვე ადამიანი არ იქნება.

იმედი მაქვს, თუნდაც ჩემი ასაკის გამო, მე არ მომიწევს ამ ახალი სახეობის ცხოველებით დასახლებულ ქვეყანაში ცხოვრება, მაგრამ ეს სრულებითაც არ მაძლევს ნებას, ახალგაზრდობას არ გადავდო ჩემი შიში. ჩვენ ხომ ჯერ ვიბადებით, როგორც სახელმწიფო, და ყველაფერია მოსალოდნელი ამ ბნელით მოცულ სამყაროში. დღეს ჩვენშიც თავზარდამცემი უვიცობა (იგივე სიბნელე) სუფევს და, რაც კიდევ უფრო შემაშფოთებელია (რასაკვირველია, თუ არ მეჩვენება. ტყუილად ხომ არ უთქვამთ, შიშს დიდი თვალები აქვსო), უვიცობას აშკარად მეტი გასავალი აქვს, ვიდრე ცოდნა-გამოცდილებას. ყოველ შემთხვევაში, უვიცობის გაცილებით მეტ მაგალითს ვაწყდებით ყოველ ნაბიჯზე, ვიდრე კეთილშობილების, პატიოსნების, სიკეთის, განათლების, სიყვარულის, ერთგულების — რაც იგივე კულტურაა. ესეც, რასაკვირველია, ჩვენი უკუღმართი ცხოვრების ბრალია და არა რომელიმე მწერლისა, ანდა ჟურნალისტისა.

პირიქით. ყველანი თითქოს მოწადინებულნიც არიან, თითქოს თავგამოდებულნიც იბრძვიან (ბოლოს და ბოლოს, ქართველები არიან ჯერ), მაგრამ, ისევ და ისევ ჩვენი საერთო უვიცობის გამო, ყველას როდი შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, ვის წინააღმდეგ და ვის დასაცავად ვიბრძვით... სიტყვის თავისუფლება, რასაკვირველია, დიდი მონაპოვარია, თვალისჩინივით გასაფრთხილებელი, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, თუ რა ძნელი მოსათოკია ნებაზე მიშვებული სიტყვა.

რა დიდი ბოროტების მოტანა შეუძლია, თუკი სრულყოფილად ვერ დავეუფლებით და ჩვენს ჭკუაზე ვერ მოვაქცევთ, ანუ,

იმას არ ვათქმევინებთ, რის გაგონებასაც ათასობით და ათასობით ჩემსავით დაბნეული ადამიანი ელოდება წლიდან წლამდე...

წეღან ვთქვი, ახლა ვიბადებით-მეთქი, და ეს მარტო ლამაზი სიტყვისთვის არ მითქვამს.

ჩვენთვის ყველაფერი თავიდან იწყება.

შეიძლება ითქვას, ეს ჩვენი ბოლო შანსია სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და, პირველ რიგში, ეს უნდა გავაცნობიეროთ ყველამ, რაღა თქმა უნდა, მწერალმაც და ჟურნალისტმაც. ჩემთან საუბარი კი არა, ეს არის დღეს მასმედიის პირდაპირი მოვალეობა.

რაც შეიძლება, გასაგებ ენაზე უნდა განგვიმარტოს, რა ხდება და რატომ ხდება, რაც ხდება; რა უნდა მოვიმოქმედოთ, უკეთ რომ დავიცვათ თავი ნებისმიერი საფრთხისგან, გლობალიზაციისაგანაც და ქათმის გრიპისგანაც, პოლიტიზირებული კრედიტორებისგანაც და უსაფუძვლო, და ამდენად, უსვინდისო პრეტენზიებისგანაც, განსაკუთრებით იმათგან, ვისგანაც მხარში ამოდგომასა და ხელის გამოწოდებას თუ არა, მადლობას ნამდვილად ვიმსახურებთ. მასმედიამ აუცილე — ბლად კი არ უნდა თქვას რაღაცა, არამედ, მიუხედავად ყველაფრისა, მიუხედავად ნებისმიერი დაბრკოლებისა, მაინც მხოლოდ ის უნდა თქვას, რისი თქმაც აუცილებელია ჩვენს დღეში მყოფი ხალხისთვის...

ესაუბრა ლელა ჯიყაშვილი გაზეთი „კვირის პალიტრა", № 5, 2006,

წინ მარადისობაა!

— ბატონო ოთარ, საუბრისას არაერთხელ გიხსენებიათ შიში მომავლის გამო, ობიექტური რეალობა ასაზრდოებდა ამ შიშს, მაგრამ მაინც გვქონდა უკეთესის მოლოდინიც.

დღეს თუ გაქვთ უკეთესის მოლოდინი?

შიში გამართლდა? მგონი, მაშინ, ნოემბრის დღეებში ამ კითხვებზე პასუხი ჩანდა თქვენს სიტყვებში, მაგრამ მას მერე დიდი დრო გავიდა. იქნებ პასუხიც შეიცვალა?

— მართალი ბრძანდებით, შიში გამართლდა.

თუმცა, უკეთესის მოლოდინი მაინც შემრჩა.

მომავლის შიშიც და უკეთესის მოლოდინიც უაღრესად ადამიანური გრძნობაა, მე ვიტყოდი, აუცილებელი თვისებაა სიცოცხლისა და ვიდრე ადამიანი ცოცხალია, არც მომავლის შიში გაუნელდება, არც უკეთესის მოლოდინი, მით უფრო დღევანდელ მსოფლიოში და მით უფრო ჩვენს დღეში მყოფს. მომავლის შიშს თავად მომავლის გაურკვევლობა აჩენს, ხოლო, უკეთესის მოლოდინს ჩვენი თანდასწრებითა თუ ჩვენი თანამონაწილეობით მიმდინარე ცხოვრება განაპირობებს. აქედან გამომდინარე, ერთიცა და მეორეც, დალხინებულზე მეტად, გაჭირვებულ ადამიანს უმძაფრდება.

ასე რომ, არაფერია გასაკვირი, ერთდროულად მომავლის შიშიც მქონდეს და უკეთესის მოლოდინიც. მოკლედ რომ ვთქვა, ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ კი გადაგვხდა თავს, მაგრამ ჩემთვის თითქმის არაფერი შეცვლილა: იმავე აზრისა ვარ, რა აზრისაც ჩვენი ბოლო საუბრისას ვიყავი. სხვათა შორის, ალბათ გახსოვთ, არც მაშინ არსებობდა რაიმე მყარი საფუძველი პოზიციისა და აზრის შესაცვლელად. უბრალოდ, იმდენად ძნელი წარმოსადგენია ჩვენთვის არსებულზე უარესი, ნებისმიერ მოსალოდნელ ან უკვე მომხდარ ცვლილებაში მაინცდამაინც უკეთესის დანახვას ვცდილობთ, თუმცა, ადრეც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, ჩვენი ბიოგრაფიის ხალხს გაცილებით მეტი სიფხიზლე და წინდახედულობა მართებს. ვხვდები რა თქვენი შეკითხვის პროვოკაციულობას, გულწრფელად ვაღიარებ, რომ უამრავი და უამრავი ჩვენი თანამემამულის მსგავსად, ვერც მე გამოვიჩინე საჭირო სიფხიზლე. იმდენად ვიყავი აღტაცებული დავითის ხუთჯვრიანი დროშით, ფალიაშვილის მუსიკაზე შექმნილი ჰიმნითა თუ ბაგრატიონთა აღდგენილი გერბით, რომ იტყვიან, ცა ქუდად არ მიმაჩნდა, დედამიწა — ქალამნად. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ხანმოკლე აღმოჩნდა ჩემი სიხარული.

ჯერ საგანგებო კომისიისგან შერჩეული გერბის ნაცვლად, მისი იმიტაცია შეგვრჩა ხელში.

ყალყზე შემდგარი ლომები და სამეფო გვირგვინი ნებისმიერ სხვა ქვეყნის გერბზეც შეიძლება გამოისახოს, ხოლო, ოქროს საწმისის, დავითის შურდულისა და ქრისტეს კვართის გამოსახვა მხოლოდ ჩვენ შეგვეძლო ჩვენს სახელმწიფო გერბზე. „ფეოდალურ წარსულის ამსახველი” სიმბოლიკა, რაც ჩვენს ზოგი-

ერთ ოპონენტს ჩამორჩენილობად მიაჩნია, პატივისცემის გრძნობას თუ არა, ინტერესს აუცილებლად გაუჩენდა სხვა ხალხებს ჩვენ მიმართ. ჰერალდიკის ენა მეტად შთამბეჭდავია და მდიდარი, თუკი გესმის და იცი მისი დანიშნულება. ასე რომ, ხანმოკლე სიხარულს უკვე ლამის ცხოვრების წესად ქცეული გაურკვევლობა და დაძაბულობა მოჰყვა ისევ, გერბის გაუბრალოებას კი — ძნელად წარმოსადგენი და კიდევ უფრო ძნელად ასახსნელი შეცდომების მთელი ნაკადი, რაც მთავარია, თითქოს შეგნებულად ჩადენილი, ჩვენი სულიერი, ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესამოწმებლად, იმის დასადგენად, თუ რამდენად ადეკვატური იქნებოდა ჩვენი, როგორც ხალხის, რეაქცია ამა თუ იმ პოლიტიკურ თუ პოლიტიზებულ მოვლენასთან დაკავშირებით. მაგალითად, წინ აღვუდგებოდით დავით აღმაშენებლის ძეგლის ხელყოფას, ეროვნული მწერლობის, მეცნიერების, სპორტის, საერთო კულტურის უგულებელყოფას, „სამხრეთ ოსეთის", ამ უაღრესად საბჭოური, კრემლში შეთითხნილი ცნების აღდგენას, სვანეთის აფხაზეთის გადაკეთებას ზემო აფხაზეთად, ახალი მიწების მიმატებას უკვე ისედაც დაკარგული ტერიტორიებისთვის, თუ ყურსაც არ შევიბერტყავდით (როგორც მოხდა კიდეც) და კვლავაც მხოლოდ სოციალური პრობლემების გამო, დროგამოშვებით, ავუმხედრდებოდით ხელისუფლებას, რაც მონობაში შეძენილი ბედოვლათობის კიდევ ერთი გამოვლენაა და მეტი არაფერი. მოკლედ, ნოემბრის შემდეგ ბევრი რამ შეგვეშალა, მაგრამ (და ეს კიდევ უფრო შემაშფოთებელია), ჩადენილი შეცდომების გამოსწორებას კი არ ვცდილობთ, ახლებს ვამატებთ. ასე კი, ჩემი აზრით, იმ უბრალო მიზეზის გამო ვიქცევით, ჯერ ისიც რომ ვერ გაგვირკვევია ვერც მწერლებს და ვერც თქვენ, ჟურნალისტებს, ეს შეცდომები მართლა შეცდომებია, ანუ მართლა ჩვენი უმწიფრობის, უვიცობისა და უწვრთნელობის შედეგია, თუ შეგნებული, წინასწარ დაგეგმილ-დამუშავებული პროექტის მეთოდური, თანამიმდევრული განხორციელება დროსა და სივრცეში. ყოველ შემთხვევაში, ნამდვილად არსებობს ამგვარი ეჭვის საფუძველი, მით უფრო მწერლისთვის, რადგან მწერალმა თვითონაც არ იცის, რეალობაა მისთვის მთავარი, თუ წარმოდგენილი. სხვანაირად რომ ვთქვათ, მისთვის არაფერია წარმოუდგენელი და, ამავე დროს,

ყველაფერი დასაშვებია, რისი წარმოდგენაც შეიძლება. და მაინც, ამ ბოლო დროს, ბევრი ისეთი რამ მოხდა ჩვენში, რისი წარმოდგენაც კი დაუშვებლად მიმაჩნია, თუკი არ გავითვალისწინებთ ზემოთ უკვე ნახსენებ ბედოვლათობას. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ვგულისხმობ დავით აღმაშენებლის ძეგლის გატანას ქალაქიდან, რამდენადაც, დავით აღმაშენებლის ძეგლი ყველა ნორმალური ქართველისთვის (და არაქართველისთვისაც), უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის ერთიანობისა და პოლიტიკური კურსის ვიზუალური განსახიერებაა, ყოველწამიერი შეხსენებაა ყველა ჩვენგანისთვის ჩვენი მეობისა, ჩვენი ამქვეყნიური დანიშნულებისა. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ქართველმა ხალხმა ამჯერად ვერ გამოიჩინა მისთვის დამახასიათებელი გონიერება, ვერ აუღო ალღო ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს და ერთხელ კიდევ დაისაჯა, ჩვენში რომ ვთქვათ, სამართლიანად, რადგან არც უკითხავს, რა ხდება, რატომ ხდებაო, როცა მის დიდებულ მეფეს, უკანონოდ შემოპარულ მიგრანტივით, უბოდიშოდ აძევებდნენ საკუთარი სატახტო ქალაქიდან. ასევე არ შეშფოთებულა, როცა პარლამენტმა ერთხელ უკვე მისგანვე გაუქმებული „სამხრეთ ოსეთი" აღადგინა, რაც პოლიტიკურ ენაზე უცხო სახელმწიფოს არსებობის აღიარებაა საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე.

ასევე არ შეშფოთებულა, როცა სვანეთის აფხაზეთს, სადაც ქართველის გარდა, არასოდეს უცხოვრია სხვა ეთნოსის წარმომადგენელს, ზემო აფხაზეთს არქმევდნენ, რაც იგივე „სამხრეთ ოსეთობას" ნიშნავს და იმათ სასარგებლოდ გადადგმული ნაბიჯია, ვისაც ამჟამად ეკუთვნის აფხაზეთი. ძნელი სათქმელია, რატომ მოხდა ასე. ხალხი, რომელსაც ეროვნული ღირსებისა და სიამაყის გრძნობა უჩლუნგდება, ბიოლოგიურ სიცოცხლეს, მართალია, აგრძელებს, მაგრამ კი არ მრავლდება, სხვა ხალხებში ითქვიფება, ილექება, საკუთარს კი არ ქმნის, სხვათა შექმნილს იმეორებს, ხოლო სხვა კულტურის მექანიკური გამეორება ერის თვითმკვლელობას ნიშნავს და, ბუნებრივია, აღარ არის საინტერესო დანარჩენი მსოფლიოსთვის. იმედი მაქვს, ჯერ კიდევ არ მივსულვართ აქამდე, მაგრამ შეიძლება მალე მივიდეთ, თუკი არც ამჯერად მოვეგებით გონს, არც ამჯერად ამოვიღებთ ხმას, არც ამჯერად გამოვიღებთ ხელს, თუნდაც განათლებისა

და კულტურის სამინისტროების მიერ გამოტანილი და ქვეყნისთვის აშკარად არასახარბიელო გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ. მე მგონი, მთლად დალაგებულად ვერ ვპასუხობ თქვენს შეკითხვას, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, განა უკეთესის მოლოდინი არ მალაპარაკებს ამდენს?! დიახ, ერთხელ კიდევ ვადასტურებ, რომ მიუხედავად ყველაფრისა, მაინც შემრჩა უკეთესის მოლოდინი. ქართული ფენომენი იმდენად უნიკალურია, მისი გაქრობა, მხოლოდ და მხოლოდ, ვიღაცის ნება-სურვილით, ვინც არ უნდა იყოს ის ვიღაცა, რასაკვირველია, გარდა უფლისა, ყოვლად შეუძლებელია. ყოვლად დაუშვებელიც. ასე რომ არ მწამდეს, მაშინ ხომ არც ჩვენი დღევანდელი საუბარი შედგებოდა.

— ბევრი პრობლემა გვაქვს. ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რომ ამოგარჩევინოთ, რომელს დამისახელებთ?

— პრობლემა ნამდვილად ბევრი გვაქვს — ამას ვერც დავმალავთ, ვერც მივაფუჩეჩებთ — მაგრამ ჩვენთვის, ჯერჯერობით, მთავარი პრობლემა მაინც ფიზიკური გადარჩენაა. ვიდრე არსებობს (სამწუხაროდ, არსებობს) ჩვენი, როგორც ხალხის, გაქრობის საფრთხე, ნებისმიერ სხვა პრობლემაზე მსჯელობა, მეტი რომ არ ვთქვათ, თავის მოტყუებაა, სიმართლისთვის თვალის არიდებაა, უფრო მეტიც, ბრძოლის ველიდან გაქცევაა და გავრბივართ კიდე(არც ამის დამალვა დაგვაყრის ხეირს — სოკოებივით მრავლდება საზღვარგარეთ ქართული სათვისტომოები, რაც ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ხალხისთვის უაღრესად სახიფათო მოვლენაა. რასაკვირველია, უმიზეზოდ არავინ მიდის, მაგრამ მიზეზს, პრობლემისა არ იყოს, რა გამოლევს, თუკი საზოგადოზე მაღლა პირადულს დავაყენებთ, ანუ, ქვეყნის კი არა, თავის გადარჩენაზე ვიფიქრებთ მხოლოდ. ყველა მიზეზი საპატიოა შინიდან წასასვლელად, როცა შინ ყველა იმედი ამოწურულია. უფრო მეტიც, სიბრიყვეც და სილაჩრეც ერთგვარი ალიბის მნიშვნელობას იძენს და პასუხისმგებლობის გრძნობიდან გათავისუფლებს თუნდაც მხოლოდ საკუთარ თვალში. „დალაგდება ქვეყანა და ჩამოვალ" — ამ პირობით ტოვებს უმრავლესობა აქაურობას, მაგრამ იმას კი აღარ ამბობენ, ვინ დაალაგებს აქაურობას მათ მაგივრად.

შეიძლება, ცოტას ვაზვიადებ, ზედმეტად მკაცრად ვლაპარაკობ საკუთარ სისხლსა და ხორცზე, მაგრამ როგორც გული მიგრძნობს, წასულთა გარკვეულ ნაწილს სწორედ აქაურობა ადარდებს ყველაზე ნაკლებად, შეიძლება, აღარც დაბრუნდეს შინ, სამუდამოდ აიცრუოს გული სამშობლოზე, რომელმაც, თავის დროზე, ვერ დაიცვა, ვერ დააპურა, რადგან თავად აღმოჩნდა მშიერი და დაუცველი. ამიტომ, თუკი ვინმეზეა გაბრაზებული, აქაურობაზე, „პატარა სამშობლოზე" და არა ზოგადად რუსეთის იმპერიასა თუ საბჭოთა კავშირზე, ეგრეთ წოდებულ „დიდ სამშობლოზე", სადაც არათუ პოლიტიკური, საყოფაცხოვრებო პრობლემებიც ნაკლებად ეხებოდა, უფრო ნათლად რომ ვთქვათ, სხვა ფიქრობდა მის მაგივრად, მას კი, ავად თუ კარგად, გარანტირებული ჰქონდა „პური და სანახაობა". მაგრამ, როგორც კი განთავისუფლდა თავის „პატარა სამშობლოიანად", იმას, ნამდვილსა და ერთადერთს კი არ მიხედა, ფეხზე კი არ წამოაყენა მონობით წამხდარი და დაუძლურებული, რაც წმიდათა-წმიდა მოვალეობაა ყველა ნორმალური ადამიანისა, არამედ გაებუტა, ზურგი შეაქცია, გაექცა და... გადარჩა, ოღონდ, იმიტომ კი არა, იქ რომ მეტი იშოვა, ვიდრე აქ იშოვიდა, უბრალოდ, იმას დაჰყაბულდა იქ, რასაც აქ არავითარ შემთხვევაში არ დაჰყაბულდებოდა, თუნდაც, მონური პატივმოყვარეობისა და კუდაბზიკობის გამო. „პერესტროიკის" მესვეურებს, რასაკვირველია, ესეც წინასწარ ჰქონდათ გათვალისწინებული, რაც, უპირველეს ყოვლისა, მათი იმპერიული შორსმჭვრეტელობის აშკარა დადასტურებაა და გამართლებაც — იდეოლოგიური საზარელი წნეხის მეშვეობით ცდილობდნენ ჩვენი ფსიქიკის შეცვლასა და გადაგვარებას. და, ეტყობა, გარკვეული თვალსაზრისით, მაინც შეძლეს, რადგან, უნდა ვაღიაროთ, ჯერ კიდევ ბევრ ჩვენიანს უჭირს საუკუნოვანი მონობის ტკბილად აქოთებული ლოგინის მიტოვება და დღემდე სჯერა ორი სამშობლოსი და ორი მშობლიური ენის არსებობის შესაძლებლობა.

ასე რომ, როგორც არ უნდა გვეტკინოს გული, როგორც არ უნდა გვიჭირდეს ამის აღიარება, მიუხედავად ოფიციალური (ალბათ, უფრო ფიქტიური) განთავისუფლებისა, ჯერ კიდევ მონებად დავრჩით, თუნდაც, გააზატებულ მონებად. გარკვეული შეზღუდვები თითქოს მოგვეხსნა, მაგრამ ჯერ არ ჩამოყალიბე-

ბულა და არც შეიძლებოდა ასე უცებ ჩამოყალიბებულიყო ჩვენში პიროვნება, რომელმაც იცის, როდის როგორ მოიქცეს, რა სჯობს არა მარტო პირადად მისთვის, არამედ ქვეყნისთვისაც. აგვისტოს დღეებში — ალბათ თქვენც მიაქციეთ ყურადღება, როგორც ჟურნალისტმა — ერთ-ერთი ქართული დიასპორის წარმომადგენლებმა, ტელევიზიის მეშვეობით, შემოგვითვალეს, თუ საჭირო შეიქნა, ჩამოვალთო. მადლობის მეტი რა გვეთქმის აქ დარჩენილებს, მაგრამ, ჩემი აზრით, თუკი საერთოდ საჭიროა ჩვენი ერთად ყოფნა, სწორედ დღესაა საჭირო. მე მეგონა, ეს ყველამ, წასულმაც და დარჩენილმაც, ერთნაირად ვიცოდით. დღეს ერთხელ კიდევ წყდება ჩვენი ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი, ისევე, როგორც გასული საუკუნის ოციან წლებში წყდებოდა, მაგრამ მაშინ იმდენ ხალხსაც ვერ მოვუყარეთ თავი, კრწანისში სანგრები რომ შეგვევსო. დღეს კი სანგრები არც გაგვითხრია, რადგან ჯერ ისიც ვერ გავარკვიეთ, სად უფრო საჭირონი ვართ, შინ (თუნდაც სანგრების შესავსებად), თუ უცხოეთში (თუნდაც უკეთესი ეკონომიური პირობების შესაქმნელად). მონა იმდენადაა მიჩვეული სხვების (პატრონის) მეთვალყურეობით ცხოვრებას, ძალაუნებურად უჩლუნგდება დამოუკიდებლად აზროვნების უნარი, რაც თავისთავად ათავისუფლებს პასუხისმგებლობის გრძნობისგან. სამაგიეროდ, ზედმეტად უმძაფრდება აკრძალულის, მისთვის ხელმიუწვდენელის განცდისა და დაუფლების მოურეველი სურვილი და განთავისუფლებისთანავე, ამ სურვილის დაკმაყოფილებას ცდილობს, ნებისმიერი გზით და საშუალებით, და გაუცნობიერებლად, პირველ რიგში. სწორედ თავისუფლებას უპირისპირდება.

ციხე შიგნიდან ტყდებაო. ადამიანი შიგნიდან თავისუფლდება და საამისოდ აჯანყება, ომი და რევოლუცია საკმარისი არ არის.

ეს გაცილებით რთული და ხანგრძლივი პროცესია.

მართალია, ამ ეტაპზე, მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო, თავისუფლებისთვის აშკარად მოუმზადებლები აღმოვჩნდით, მაგრამ გადარჩენა თუ გვინდა, ისევ ქართველებად თუ ვაპირებთ დარჩენას და მართლა ქართული სახელმწიფოს შექმნას ვცდილობთ, ეს პროცესი როგორმე ბოლომდე უნდა მივიყვანოთ.

ეს ერთადერთი გადამრჩენელი გზაა უდაბნოდან აღთქმულ ქვეყნამდე. მხატვრულად რომ ვთქვათ, ჩვენ ჯერ უდაბნოში დავ-

ხეტიალობთ და ასე ვიხეტიალებთ იქამდე, ვიდრე სულიან-ხორციანად არ განვიწმინდებით, არ გადავეჩვევით მონურ აზროვნებას, არ მოვიშორებთ მონობაში შეძენილ თვისებებს, არ განვთავისუფლდებით ლეგენდებისგან, ცრუ რწმენებისგან, ცრუ კერპებისგან, ცრუ იმედებისგან და, როგორც არ უნდა გაგვიჭირდეს, თვალს არ გავუსწორებთ სინამდვილეს, ყველგან და ყველაფერში არ მოვძებნით სიმართლეს. სიმართლე მწარეა, ოღონდ, წამლის სიმწარე აქვს და არა შხამისა. სიმართლე აგვიხელს თვალს, რათა დანახულმა ყველა ერთნაირად შეგვძრას, შეგვაწუხოს, შეგვაშფოთოს. ეს ყველას ერთნაირად გვეხება,მეც, თქვენც,ყველას, ვინც ჩვენს საუბარს წაიკითხავს, ან არ წაიკითხავს, სულერთია, საზოგადოების რომელ სფეროს განეკუთვნება, რა საქმიანობას მისდევს, ქალია თუ კაცია, მოზარდი თუ მოხუცი, რადგან რაც გვჭირს, ყველას ერთნაირად გვჭირს. და რაც გვჭირს, იმიტომ გვჭირს, ყველას ერთნაირად რომ გვიჭირს მშობლიურ ენაზე ლაპარაკი — ამბის მოყოლა, აზრის გადმოცემა — ლექტორსაც და სტუდენტსაც, ექიმსაც და პაციენტსაც, ვექილსაც და ტუსაღსაც, პოლიტიკოსსაც და ხელოვანსაც, პოლიციელსაც და ბოროტმოქმედსაც, სხვათა შორის, თქვენც, ჟურნალისტებს და, რაც ყველაზე სახიფათოა, გლეხსაც.

„რა ენა წახდეს, ერიც დაეცესო" — გვაფრთხილებდნენ ჭეშმარიტი გულშემატკივრები და აჰა, წავხდით და დავეცით! ამის ბრალია, უვიცობის, უგემოვნობის, უზნეობის დღემდე არნახული აღზევება. ამის ბრალია, სუროგატის მომრავლება კულტურის ნებისმიერ სფეროში.

ამის ბრალია შინააშლილობა, გაუთავებელი დაპირისპირებები, ანგარიშსწორება, ღირსეულთა დაკნინება და უღირსთა განდიდება.

ამის ბრალია, საკუთარის უარყოფა და უცხოურის გაფეტიშება. ერთმა საკმაოდ ცნობილმა ქართველმა, უფრო სწორად, წარმოშობით ქართველმა ხელოვანმა, მცხეთის ჯვრის მონასტრის ფონზე (ადგილობრივი ტელევიზია ლაქიური მოკრძალებით აფიქსირებდა „ოქროს ფონდისთვის" მსოფლიოს მოქალაქის მორიგ ვოიაჟს ყოფილ სამშობლოში), თავის მცირეწლოვან შვილებს (რასაკვირველია, ტელემაყურებელთა გასაგონად), ქართული გულითადობითა თუ ამერიკული პრაგმატულობით

უთხრა: თუ გინდათ, კარგი ამერიკელები გაიზარდოთ, ფესვები არ დაკარგოთ, იცოდეთ, საიდან მოდიხართო.

კეთილი და პატიოსანი. ღმერთმა ხელი მოუმართოთ.

და საერთოდ, ვისი რა საქმეა, რას ურჩევს საკუთარ შვილებს მამა, ვინც არ უნდა იყოს ის, ცნობილი ხელოვანი თუ ჩვეულებრივი არარაობა. სამაგიეროდ, დიახაც რომ შემაშფოთებელია ჩვენთვის, როცა მთელი ქართველი ხალხი უყურებს და უსმენს ყველაფერ ამას და არავის უჩნდება სურვილი, მორიდებულად მაინც უსაყვედუროს ტელევიზიას ამგვარი ანტიეროვნული გადაცემების სიმრავლე. ამგვარმა ტელეგადაცემებმა, თავიანთი „ობიექტურობითა" და „უშუალობით", ადვილი შესაძლებელია, დათვური სამსახური გაუწიონ ისედაც დაბნეულ ახალგაზრდას, გადაადგმევინონ არასწორი ნაბიჯი, თუკი ჩვენი ტელეწამყვანები თუ ტელეკომენტატორები როგორმე არ მოერევიან მდაბიური მაამებლობის ჟინს და საკმაოდ იაფფასიანი ქათინაურებით კი არ იარშიყებენ ღია ეთერში სახელგანთქმულ ქართველ უცხოელთან, არამედ გარკვევით აუხსნიან, განუმარტავენ ტელემაყურებელს, რა უბედურია სინამდვილეში ჩვენი ყოფილი თანამემამულე, რამხელა ცოდვას სჩადის საკუთარი შვილების წინაშე, არაფერი რომ ვთქვათ მშობელ ხალხსა და სამშობლოზე. უბედურია, ჩვენ კი ბედნიერად გამოგვყავს. რატომ? გვეშლება თუ უკვე ამდენსაც ვეღარ ვხვდებით? აი, ეს უნდა გავარკვიოთ მე და თქვენ, უპირველეს ყოვლისა, და მერე ვისაუბროთ სხვა მტკივნეულ პრობლემებზე, რომელთა არსებობაც ისევე გამართლებულია, როგორც ნებისმიერი ბუნებრივი თუ ცხოვრებისეული მოვლენისა. პირობას გაძლევთ, პრობლემები არ დაგველევა, ვიდრე ვიცოცხლებთ, ვიდრე ვიცხოვრებთ, ვიდრე გონი შეგვრჩება და, რაც მთავარია, ვიდრე ბრძოლის თავი და სურვილი გვექნება.

— ბატონო ოთარ, ცხადია, აგვისტოს ომის საშინელი დღეების შემდეგ უმძიმესი განცდა დაგრჩათ. საერთოდ თუ იცოდით, რომ მდგომარეობა ომამდე მივიდოდა, როგორ ცხოვრობთ ახლა — ომის შემდგომ შემაძრწუნებელ „მშვიდობიან" პერიოდში, როცა წინ საქართველოს ყელგამოღადრული და გულგამოღადრული რუკა გვიდევს?

— დიახ, ვიცოდი. ოღონდ, „მდგომარეობა კი არ მივიდა ომამდე", როგორც თქვენ ამბობთ, უბრალოდ, ერთხელ კიდევ გამოაშკარავდა, გამომჟღავნდა, ყველასთვის თვალნათელი გახდა ეს გამოუცხადებელი მცოცავი ომი, შეიძლება, დაუდევრობის, წინდაუხედაობის, ანდა მოუთმენლობის გამო. შეიძლება, შეგნებულადაც. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა თავიდანვე ისე წარიმართა, უომრად ყოვლად წარმოუდგენელია ჩვენი თანაარსებობა.

განა გასული საუკუნის ჯერ ოციან და მერე ორმოცდაათიან წლებშიც „ომამდე არ მივიდა მდგომარეობა?!" საერთოდ, ეს ომი დიდი ხნის დაწყებულია და ღმერთმა იცის, როდის ან როგორ დამთავრდება.

თქვენ შეიძლება არ მიაქციეთ ყურადღება, მაგრამ ამ მარადიული ომის აგვისტოს ეპიზოდამდე ერთხელ კიდევ გაისმა, ახლა უკვე რუსეთის სახელმწიფო დუმაში, „პერესტროიკის" დროს მოსკოვის ქუჩებსა და მოედნებზე „მოულოდნელად" გაჩენილი და ჩვენთვის მეტად ყურადსაღები, მრავლისმთქმელი მოწოდება: „გაუმარჯოს საქართველოს უქართველებოდ!" ქართველებს ყურადღება არ მიუქცევიათ ამ მოწოდებისთვის-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ მაშინ მათი რეაქცია აშკარად არაადეკვატური (დღეს ფრიად მიღებული გამოთქმაა პოლიტიკოსებს შორის) აღმოჩნდა — არნახულად მოიმატა საქართველოდან რუსეთში გახიზნულთა რიცხვმა. თუმცა ადეკვატურობით არც ამჯერად გამოირჩეოდა ჩვენი რეაქცია. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, ნამდვილად არ ვიყავით ომისთვის მზად, მაგრამ ბოლოს ისე გამოვიდა, თითქოს ხათრი ვერ გავუტეხეთ საუკუნოვან მტერს და ავყევით, ალბათ უკვე ძვალ-რბილში გამჯდარი, უკვე გენეტიკური შიშის გამოც. შიში შეიქმს სიყვარულსა, სიყვარული კი ბრმაა. ამიტომ, შეცდომებზე ნუღარ ვილაპარაკებთ, შეცდომის შეხსენება ბრალდების წაყენებასავითაა, რაც, ჩვენში რომ ვთქვათ, სითამამეზე მეტად, სითავხედე იქნებოდა ჩემი მხრიდან. მწერალი ბრალმდებელი არ არის და, რაც მთავარია, მის ნებისმიერ მოსაზრებას თვითუარყოფის, თვითგაბათილების უნარი გააჩნია, რაკი, მხოლოდ და მხოლოდ, წარმოსახვის, ეჭვის, განწყობის, სიტუაციის, ასოციაციის, სულაც ფანტაზიის ნაყოფია და არა მეცნიერული, თუნდაც კრიმინალური კვლევა-

ძიებისა. მაგრამ საკუთარი მოსაზრების დამალვაც ისეთივე ბოროტება იქნებოდა მწერლისგან, როგორც დაუსაბუთებელი ბრალდების წაყენება ვინმესთვის.

რასაკვირველია, არც რჩევა უნდა დაამადლო ვინმეს, მაგრამ თქვენ რომ მეკითხებით, როგორ ვიცხოვროთო, ნამდვილად ვერ ვიქნები კარგი მრჩეველი. ან რა უნდა გირჩიოთ, როცა მხოლოდ ის ვიცი, ასე ცხოვრება რომ არ შეიძლება. ასევე არ შეიძლება, გავიზიაროთ ის რჩევები, ბოლო დროს რომ გვთავაზობენ ტელეეკრანებიდან, რაც ჩვენი ეროვნული შეგნების დაქვეითებისა და დასუსტების, ანუ ჩვენი, როგორც კულტურული ხალხის პოლიტიკური სიკვდილის მომასწავებელია უფრო, ვიდრე ჩვენი სიჭკვიანისა და სამართლიანობისა.

პუშკინისა და ტოლსტოის ქუჩებს კი არ უნდა გადავარქვათ სახელი, რის შემდეგაც კულტურული ხალხი უმალ უკულტურო ბრბოდ გადავიქცევით მთელი მსოფლიოს თვალში, არამედ ყველანაირად ვეცადოთ, რაც შეიძლება მალე მოვიშოროთ ჩვენს სულებში საუკუნეთა მანძილზე ჩალექილი მონობის შლამი, დავიბრუნოთ ჭეშმარიტი სახე, ჭეშმარიტი ბუნება და აღვიდგინოთ ისტორიული მახსოვრობა. ჩვენი საკმაოდ ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, ან თავისუფლების შესანარჩუნებლად, ან თავისუფლების კიდევ ერთხელ მოსაპოვებლად ვიბრძვით, ხოლო ისტორიული მახსოვრობის გარეშე, შეიძლება, საერთოდ ავიღოთ ბრძოლაზე ხელი, რაც იგივე სიკვდილი იქნება ჩვენთვის. ჩვენ ვიდრე ვიბრძვით, იქამდე ვართ ანგარიშგასაწევი ხალხი მტრისთვისაც და მოყვრისთვისაც. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, როგორმე უნდა გავაცნობიეროთ, სამასწლოვან ომში რომ ვართ ჩათრეულნი და აგვისტოს ომი მხოლოდ ეპიზოდია ამ ომისა. ომი, რომელსაც ჩვენ „ორდღიანი" დავარქვით, პეტრე პირველის დაწყებულია. ჩვენმა მწიგნობარმა მეფემ, ვახტანგ მეექვსემ, სიტყვაზე დაუჯერა პეტრეს, ერთად ავლაგმოთ სპარსეთიო და ბოლოს მარტო აღმოჩნდა გააფთრებული სპარსული ლომის პირისპირ, რის გამოც არათუ სამშობლოში ცხოვრება, სამშობლოში დამარხვაც აღარ ეღირსა. ასე რომ, ეს ომი დიდი ხნის დაწყებულია და, როგორც უკვე ვთქვით, ღმერთმა იცის, როდის ან როგორ დამთავრდება, რუსეთი შეიცვლის ზნეს თუ ჩვენ ავილაგმებით პირისაგან მიწისა. რაც აგვისტოში მოხდა,

მხოლოდ ორდღიანი მონაკვეთია სამასწლიანი ომისა და ამით არც არაფერი დაწყებულა, არც არაფერი დამთავრებულა. საერთოდ, ერეკლედან მოყოლებული (ერეკლემ ორჯერ მიიღო ამ ომში მონაწილეობა, ერთხელ აწყურთან, მეორეჯერ კრწანისში), საქართველოს არც ერთ ხელისუფლებას, ფიქტიურსაც და ფაქტიურსაც, არაფერი უცდია სიტუაციის შესაცვლელად. შეიძლება, შეგნებულადაც იქცეოდნენ ასე, უფრო სავალალო შედეგების შიშით. თუმცა, ჩვენთვის შედეგი ყოველთვის ერთნაირად სავალალოა, როგორც სხვადასხვა დროს სხვადასხვა ხელისუფლების მიერ დაშვებული ყველა შეცდომა.

შეცდომებზე აღარ ვილაპარაკებმეთქი, წეღან ვთქვი, მაგრამ კიდევ ერთს ვიტყვი მხოლოდ: გასული საუკუნის ოციან წლებში, ამჯერადაც კრწანისში, მეთერთმეტე არმიის მორიგი იერიშის მოგერიების შემდეგ, მთავარსარდლობამ კატეგორიულად აუკრძალა ქართველ ჯარს კონტრიერიშზე გადასვლა, როცა, სამხედრო ექსპერტების აზრით, ადვილი შესაძლებელია, საერთოდ საქართველოს სასარგებლოდ გადაეწყვიტა ომის ბედი ამ კონტრშეტევას. აი, ასეთი უცნაური დამთხვევებითაა სავსე ჩვენი გაჭიანურებული ომი, თუკი მეტი გულისყურით გაეცნობით, როგორც უკვე ისტორიულს, ასევე ჯერ კიდევ „ცხელ" ფაქტებს. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, როდემდე შეიძლება, ომისა არ იყოს, ასე უსასრულოდ ვიმეოროთ ერთი და იგივე? თქვენს შეკითხვებზე რომ ვფიქრობდი, მეგონა, ვერაფერს ვიტყოდი საერთოდ, მით უფრო ახალს, რადგან ახალი არც არაფერი მომხდარა ამიტომ გაცილებით აჯობებდა, თქვენთვისაც ის მეთქვა მხოლოდ, რის თქმასაც თავიდან ვაპირებდი. უფრო სწორად, რაც ერთხელ უკვე ვთქვი ამ ხუთი წლის წინ. დიახ, ხუთი წლის წინაც ისევე იწვოდა ჩემთვის ჩვენი სამშობლო, როგორც დღეს იწვის. დიდი ხანია იწვის. იწვის ჩვენს თვალწინ, ჩვენს ფეხქვეშ, ჩვენს გარშემო, ჩვენს სულში! ცოტაც და, კვამლით გავიგუდებით ყველანი, სამარცხვინოდ დავამთავრებთ, ღმერთმა იცის, რამდენსაუკუნოვან არსებობას. ღმერთსაც გავუწბილებთ მოლოდინს და კაცსაც, რადგან ღმერთიც მეტს ელოდა ჩვენგან და კაციც. უფრო სწორად, არც ღმერთს დაუკლია ჩვენთვის ხელი და არც კაცს. მაგრამ, იმის ნაცვლად, კიდევ უფრო ჯიუტად, კიდევ უფრო მტკიცედ დავმდგარიყავით სამზეოზე, თანდათან რული მოგვერია და

ისიც ვერ გავიგეთ, ვინ ან როდის შეგვიცვალა მხედრის ულუფა მონის სალაფავით და აი, მას შემდეგ გვეწვის ფეხქვეშ სამშობლო. ჩვენ კი, მოურჩენელი სიბნელის ბინადარნი, ერთმანეთს ვუსისხლიანებთ თავ-პირს და ერთმანეთზე ვიყრით ჯავრს საერთო უმწეობისა და უმაქნისობის გამო.

ანუ, შეგინებულ სიცოცხლეს ვებღაუჭებით მაინც, წყალობად ვუთვლით შემგინებელს და გახსენებაც აღარ გვინდა, სახელოვანი სიკვდილი რომ სჯობს ნაძრახ სიცოცხლეს, აღარ გვჯერა, სამშობლოსათვის თავდადებული ვაჟკაცის საფლავიც რომ აუღებელი ციხესიმაგრეა მტრისთვის, არადა, თუ ჩვენს სამშობლოს მართლა დაღუპვა უწერია, გვერჩიოს, გულზე გვეყაროს და არა ფეხქვეშ მისი ქვები. ერთი დღეც ნუ გვეცოცხლოს უსამშობლოდ!

ეს არც წყევლაა და არც ლოცვა.

გნებავთ, ლოცვაც ესაა და წყევლაც ერთსა და იმავე დროს, რადგან უსამშობლობა, ყველა უბედურებასთან ერთად, სამარცხვინოცაა და განსაკუთრებით დღეს, როცა ისიც კი იკოწიწებს სამშობლოს, თანაც სხვათა მიწების ხარჯზე, ვისაც არასოდეს ჰქონია, არც სახნისი სჭერია ხელში, არც სასხლავი და არც კალამი, ჩვენ კი, „მონობაში გადიდკაცებულთა" ამაზრზენმა სიხარბემ შვილივით ნაფერები ვაზი აგვაჩეხინა, ომებში გაბასრებული ხმალი ქარქაშში ჩაგვიჟანგა, წიგნი გადაგვაგდებინა და უთვისტომო მაწანწალებად გვაქცია. ეტყობა, ჩვენმა „გაიძვერა მოყვარემ" უკვე მიაღწია საწადელს: ის აღარა ვართ, ვინც უნდა ვიყოთ, ვინც ჯერ კიდევ გუშინ ვიყავით, როგორიც შეგვქმნა თავიდანვე ღმერთმა თუ ბუნებამ, მაგრამ ის მაინც ხომ უნდა გავარკვიოთ, რა მოხდა, რა უბედურება ტრიალებს ჩვენს თავს, ვისი სისხლი გვიდგას, ბოლოს და ბოლოს, ძარღვებში: „ვეფხისტყაოსნის" დამწერისა თუ ქართველთა შეთქმულების გამცემისა, სვეტიცხოვლის ამშენებლისა თუ ილიას მკვლელისა, მტრის რისხვისა თუ მტრის მსახურისა და მაინც, დიდი უსამართლობა იქნება ღმერთისგანაც და კაცისგანაც ჩვენი გაწირვა, მხოლოდ იმიტომ, კვლავაც იქ რომ ვდგავართ, სადაც გაჩენის დღიდან ვმდგარვართ და სადაც უნდა ვიდგეთ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. კვლავაც ის რომ გვწამს, რაც თვალის გახელისთანავე ვიწამეთ და დღესაც სანახევროდ თითქმის უკვე დამწვარ, გულ-

საკლავად დამახინჯებულ-დაპატარავებულ სამშობლოს ამარა დარჩენილებსაც გვწამს: სამშობლო ერთადერთია და განუმეორებელი! მას ვერ გამოიგონებ, ვერც სურვილისამებრ აირჩევ — ღმერთის საჩუქარია — და ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია, გვევალება კიდეც, გავუფრთხილდეთ, არ დავკარგოთ, რაკი სიცოცხლესთან ერთად გვეძლევა და სისხლივით, სულივით გადაეცემა ჩვენს შთამომავალს. ჩვენ ამირანის გამჩენი ხალხი ვართ და ჩვენი ხსნა მხოლოდ ბრძოლაა, ანუ, ჩვენთვის ყველაფერი ბრძოლაა: ლხინიც, გლოვაც, ყველაფერი, რითაც საკუთარ ვინაობას ადასტურებს და საკუთარ მეობას წარმოაჩენს ადამიანი. ჩვენც სამშობლოსთან ერთად ვიწვით ცოცხლად, მარადიულ ცეცხლში, მაგრამ ფერფლივით კი არ უნდა გაგვფანტოს ქარმა, არამედ ისევ მშობლიურ ცასა და მიწას უნდა მიგვამატოს ცად და მიწად.

ამიტომ, როგორც არ უნდა გაგვიჭირდეს, ყოველთვის გვახსოვდეს — წინ მარადისობაა!

ესაუბრა ლელა ჯიყაშვილი გაზეთი „კვირის პალიტრა", № 49, 2008,

სიტყვები

დანახული სიტყვა

თეატრის გალანძღვა ადვილია, თეატრის შექებაა ძნელი. გასალანძღად ერთი რომელიმე მსახიობის მარცხიც კმარა, შესაქებად კი ბევრი რამაა საჭირო. განათლებასა და გემოვნებას თავი რომ გავანებოთ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გვესმოდეს საერთოდ თეატრის მნიშვნელობა, აქედან გამომდინარე, უნდა გვიყვარდეს თეატრი და, რაც მთავარია, პატივს უნდა ვცემდეთ მას. ეჭვი არ მეპარება, ჩვენს შორის იყოს ისეთი ვინმე, რომელსაც არ ახარებდეს რუსთაველის თეატრის გამარჯვებ:, მაგრამ განა ყველას გვჯეროდა ამ გამარჯვებისა?! რა თქმა უნდა, არა. უფრო მეტიც: ცოტა ვინმეს თუ აინტერესებს ჩვენში, რა ხდება თეატრებში, რითი სუნთქავენ და რითი საზრდოობენ ისინი, რა უჭირთ და რა ულხინთ. ამის დასამტკიცებლად მარტო ისიც კმარა, ვითომ ყველაზე ხელგაშლილი ქართველი კაცი ყველაზე

ცოტა დროსა და ფულს რომ ხარჯავს თეატრისთვის, მაშინ, როდესაც თეატრზე ძვირფასი და ახლობელი თითქოს არაფერი არ უნდა გააჩნდეს. თეატრი ერის სულის მოედანია, სადაც ყველა ჩვენი სატკივარი პირველყოფილი სიმძაფრითა და დაუნდობლობით გამომზეურდება ხოლმე. თეატრი ის ტაძარია, სადაც ხელოვნების ყველა ღვთაება იყრის თავს და საკმარისია უცხო კაცმა ერთი სპექტაკლი მაინც ნახოს, გარკვეული წარმოდგენა შეექმნას საერთოდ ერის სულიერ კულტურაზე. ამიტომ, მარტო სიყვარული არ კმარა თეატრისა. სიყვარული თეატრის ნაკლის შემჩნევაში გვეხმარება მხოლოდ, მაგრამ თეატრის დიად მნიშვნელობასაც რომ ჩავწვდეთ, ჩვენს პირად ცხოვრებად რომ ვაქციოთ მისი ავიცა და კარგიც, ამისთვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მოკრძალებისა და პატივისცემის გრძნობა, მაგრამ არა რომელიმე რეჟისორის ან მსახიობის მიმართ, როგორც არ უნდა მოგვწონდნენ ისინი, არამედ — საერთოდ თეატრის, ყველა მისი მუშაკის და იმ კედლების მიმართაც, რომელთა შორის, ვინ იცის მერამდენედ, ჩაივლიან ხოლმე ჩვენს თვალწინ მარადიული ვნებების მატარებელი გმირები, უკეთეს ფიქრებსა და მისწრაფებებს რომ აღვიძებენ ჩვენში, თეატრის ჯადოსნური სინათლითა და წყვდიადით გარემოცულნი. თეატრს ერთი უცნაური თვისება აქვს: მას შეუძლია სიტყვა დაგვანახოს მთელი თავისი სიდიადით და შეგვიყვანოს კიდეც ამ სიტყვაში, როგორც უსასრულოდ ვრცელ სამყაროში, არა იმიტომ, ჩვენ რომ დავპატარავდეთ მის წინაშე, არამედ იმიტომ, რომ გავიზარდოთ — დანახული სიტყვა ზრდის ადამიანს და ერთხელ კიდევ, ერთხელ კიდევ კი არა, განუწყვეტლივ ახსენებს, უფრო მეტი რომ შეუძლია და უფრო მეტი რომ ევალება, ვიდრე თავად ჰგონია.

გარდაიცვალა ანა კალანდაძე!

უცნაურია, მაგრამ ვერ ვგრძნობ დანაკლისს.

არადა, აუცილებლად უნდა ვგრძნობდე — აღესრულა ჭეშმარიტად დიდი პოეტი და, თანაც, ჩვენი ქვეყნისთვის უაღრესად მძიმე და სახიფათო პერიოდში. დღეს ნებისმიერი ჩვენგანის სიკვდილი აუნაზღაურებელი დანაკლისია, რადგან ჯერ კიდევ

გადასარჩენად გვაქვს საქმე და, როგორც არასდროს, ისე ვჭირდებით ერთმანეთსაც და ქვეყანასაც.

ჩვენს ცხოვრებაში მოულოდნელად გაჩენილი ნებისმიერი სიცარიელე სახიფათოა ჩვენთვის, როგორც კიდევ ერთი, თუნდაც უმნიშვნელო ბზარის გაჩენა ისედაც ჩასაძირად განწირულ ხომალდზე. სიცარიელე, რომელსაც გარდაცვლილი ადამიანი ტოვებს, გაცილებით ძნელი ამოსავსებია და, რაც მთავარია, საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს. მაგრამ, ჩემდა გასაკვირად, უფრო სწორად კი, ჩემდა გასახარად, ამ სამწუხარო ცნობამ სრულიად საპირისპირო შეგრძნება აღძრა ჩემში — თითქოს უნიჭიერესი პოეტი და უერთგულესი თანამებრძოლი კი არ გამოაკლდა სამშობლოსთვის თავგადადებულთა რიგებს, პირიქით — მიემატა; სიცარიელის გრძნობა კი არ გააჩინა, არამედ სისავსისა; განწირულობისა კი არა — რწმენისა და იმედისა... ეს ანომალიური სიკვდილია, ძველს კი არ ამთავრებს, ახალს იწყებს. დიახ, დღეს დაიწყო ანა კალანდაძის უკვდავება — ჩვენს სამშობლოს კიდევ ერთი დიდებული, დიადი, საამაყო შვილი შეემატა; საქართველოს ციხე-გალავანს — კიდევ ერთი ურყევი, შეუვალი ბურჯი... დარწმუნებული ვარ, ბევრ მიწიერ სიძულვილს, შურს, სისასტიკეს მოიგერიებს ეს ბურჯი საუკუნეთა მანძილზე, ამგვარ მარადიულ ბრძოლებში უკვე არაერთგზის გამარჯვებულ მის სათაყვანებელ წინამორბედთა მსგავსად. ანა კალანდაძემ, როგორც ახალმა ვარსკვლავმა, ქართველი ხალხის ნებით, საქართველოს მარადიულ ცაზე, დღეს სამარადისოდ დაიკავა მიწიერი ტანჯვა-წვალებით მოპოვებული ადგილი...

უხილავ და შეუღწეველ ქვეყანაში

ჟანა ოთხვანი დღეს, ყველა ჭეშმარიტი ქართველივით, ლტოლვილია, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, პოეტია, პოეტი კი ბუნებითაა ლტოლვილი — სულიერი ლტოლვილობა მისი ბუნებრივი მდგომარეობაა — განუწყვეტლივ დაეძებს თავშესაფარს და არსად არ არის შინ, რადგან თანდაყოლილი და პოეტობისთვის აუცილებელი თვისებების, მიდრეკილებებისა თუ თავისებურებების გამო, არ შეუძლია მშვიდად მიჰყვეს ცხოვრების დინებას, დაიცვას ცხოვრების წესი, თუნდაც ყველაზე მარტივი და

უმნიშვნელო, და რადგან არაფერი გაეგება ცხოვრებისა — კი არ ცხოვრობს, სულისმოსათქმელ ადგილს დაეძებს მხოლოდ, ჩვენთვის არარსებულ, ჩვენთვის უხილავ და შეუღწეველ ქვეყანაში დაქანცული, უაზრო, უმიზნო, უპერსპექტივო წანწალითა და აქეთ-იქით წყვეტებით, ანუ, უსახო, უსახელო, უფუნქციო რაღაცის ძიების ჟინით შეპყრობილი და ღრმად დარწმუნებული, აუცილებლად რომ იპოვის იმ არარსებულ რაღაცას, რადგან ასევე ღრმადაა დარწმუნებული, მხოლოდ იმ არარსებულ რაღაცას შეუძლია, ერთხელ და სამუდამოდ მოუტანოს შვება ცხოვრებისგან გალახულ, გაწბილებულ, გულმოკლულ, დაუძლურებულ, დაეჭვებულ, დაშინებულ ადამიანს, რომელმაც, ადვილი შესაძლებელია, საერთოდ არ იცოდეს პოეტის არსებობის შესახებ და, თავისთავად ცხადია, არც მოლოდინი ჰქონდეს მისი და არც იმედი... აი, ასეთი უცნაური, თითქოს უსარგებლო და უინტერესო არსებაა პოეტი და, ამდენად, ჟანა ოთხვანიც, რომლის ლექსებშიც ნებისმიერ მიჩიერ, გნებავთ, ცხოვრებისეულ ხმას, სროლის ხმა იქნება ეს, მღვრიე ენგურის გმინვა თუ ძმამოკლული დის კივილი, მაინც სვანეთის თოვლიანი მწვერვალების მარად შეუვალი, შეურყეველი დუმილი სჭარბობს, უფრო დამამშვიდებელი, ვიდრე დამაფრთხობელი, და ეს მრავლისმთქმელი „დუმილი", უპირველეს ყოვლისა, უკეთესის მოლოდინსა და მარადისობის შეგრძნებას უჩენს მკითხველს.

სიტყვა მიხეილ ხერგიანზე

მიხეილ ხერგიანი იმ გამორჩეულ პიროვნებათა რიცხვს განეკუთვნება, სამშობლოს სახელს არა მარტო აქტიური ცხოვრებით, არამედ თავიანთი ტრაგიკული სიკვდილითაც რომ განადიდებენ. ცივილიზებულმა მსოფლიომ, რომელიც პატარა ერების მიმართ არასოდეს გამოირჩეოდა ყურადღებითა და გულისხმიერებით, ადვილი შესაძლებელია, საერთოდ მიხეილ ხერგიანის დაღუპვის დღეს გაიგო პირველად საქართველოს სახელი, ანუ მიახლოებით მაინც წარმოიდგინა საბჭოთა იმპერიის ჯურღმულებში ადგილ-სამყოფელი იმ ხალხისა, რომელმაც კიდევ ერთი დიდებული მთამსვლელი მოუვლინა სპორტულ სამყაროს, ხოლო ჩვენისთანა ჩვეულებრივ ადამიანებს ერთხელ

კიდევ განუმტკიცა საკუთარი შესაძლებლობების რწმენა. რაც მთავარია, მიხეილ ხერგიანს, იმპერიის ზედამხედველთა ზურგს უკან, თუნდაც ფიქრებსა და წარმოდგენებში, უპირველეს ყოვლისა, თავისი ბედკრული სამშობლოს არარსებული, სიზმარში შეკოწიწებული დროშა აჰქონდა მარადისობის მწვერვალზე. თავად კი მოწყდა კლდეს, მაგრამ სამშობლო, რომელიც ალბათ ჯერ კიდევ დიდხანს ეკიდება უიღბლობისა და უსამართლობის ციცაბო კლდეზე, ერთი ნაბიჯით მაინც გაარიდა არარაობის მარად პირღია უფსკრულს... ასეთი პიროვნების დაღუპვა, მიუხედავად დიდი ტკივილისა, უიმედობისა და უმწეობის შეგრძნებას კი არ გვიჩენს, არამედ იმედითა და სიამაყით გვავსებს და მეც სიამაყითა და იმედით მინდა დავამთავრო ეს პატარა სიტყვა: ვიდრე სვანეთის ჭაღარა მწვერვალები ფეხზე დგანან, საქართველო არ დაიღუპება. სვანეთი ის ზღაპრული ბროლის კოშკია, სადაც მარად წაუბილწავი ქართული ზნეობისა და მარად უტეხი ქართული სულის მჭედელი ხალხი ცხოვრობს.

მაცნე

გურამ საღარაძე ის ბედნიერი შემოქმედია, რომელსაც არა მარტო სიტყვის დამორჩილების უნარი შესწევს, რაც თავისთავად ბევრს ნიშნავს, არამედ სულის იმ იდუმალი და შეუღწეველი წიაღის წარმოდგენაც შეუძლია, სადაც სიტყვა იბადება. ამიტომაცაა, რომ საუკუნის თუ ათი საუკუნის წინათ დაბადებული სიტყვა მის ხელში პირველყოფილ ფერს, გემოსა და სურნელებას იბრუნებს და პირველყოფილი ძალით მოქმედებს ჩვენზე, მსმენელებზე, თითქოს ჩვენც პირველად გვესმის, თითქოს აქამდე არასოდეს გაგვიგია და კი არ ვუსმენთ, თანამონაწილენი, მოზიარენი ვხდებით იმ დიდი ვნებებისა, სიტყვაში რომ ჩამარხულან სამუდამოდ, სამარადისოდ.

როცა გურამ საღარაძე ლექსს კითხულობს, ის ანტიკური ტრაგედიის მაცნესა ჰგავს, ნანახითა თუ გაგონილით აღგზნებულს, სასწაულის მოწმეს, სირბილით რომ მოვარდნილა ჩვენამდე, და ჯერ კიდევ დაბნეული, ჯერ კიდევ აქოშინებული, სხაპასხუპით, ფაცაფუცით, სულის შემძვრელი გულუბრყვილობითა და პირდაპირობით, უფრო სწორედ — დაუნდობლობით გვაუწ-

ყებს თითქოს ახლახან, თითქოს ჩვენს გვერდით მომხდარ ახალ საოცრებას, ადამიანის სულის კიდევ ერთი იდუმალი ვულკანის აღზევებას, რაც, ადვილი შესაძლებელია, ჩვენთვის საერთოდ შეუმჩნეველი დარჩენილიყო, ანდა სხვანაირად გაგვეგო, მაინცდამაინც ამ მაცნესთვის რომ არ მოგვესმინა.

მსახიობს შეუძლია ხელმეორედ დაბადოს პოეტი, ხელმეორედ გვაზიაროს მის სიდიადეს, მაგრამ საამისოდ, რა თქმა უნდა, მარტო ტექსტის დაზეპირება კი არ არის საკმარისი, რაც არ უნდა დიდებულად ჟღერდეს ტექსტი, არამედ — სულიერი დამეგობრება თავად პოეტთან, მსახიობმა საკუთარ ტკივილად უნდა აქციოს პოეტის ტკივილი, ლანდივით უნდა გაეკიდოს უკაცურსა და ხიფათიან გზაზე დამდგარს და ის ელდა და მღელვარება უნდა შეამჩნიოს, რითაც ლექსი იწერებოდა და რისი შემჩნევაც თავად პოეტს არ შეეძლო, რადგან მხოლოდ ელდა და მღელვარება უნარჩუნებდა სიცოცხლეს, ელდა და მღელვარება აიძულებდა კიდევ ერთი ნაბიჯის გადადგმას უკვდავებისკენ.

გურამ საღარაძე, უპირველეს ყოვლისა, პოეტის მეგობრად, თანამზრახველად გვევლინება სცენიდან და, ჩემი აზრით, სწორედ ესაა უდავო და დამსახურებული წარმატების მიზეზი. მხატვრულ კითხვას პირობითად შეიძლება ერთი მსახიობის თეატრი ვუწოდოთ, ხოლო ამ თეატრის მნიშვნელობა განუსაზღვრელია.

ჭეშმარიტი მსახიობის მიერ წაკითხული ჭეშმარიტი პოეზია არა მარტო პოეზიის პოპულარიზაციას გულისხმობს, რაც თავისთავად მეტად კეთილშობილური საქმეა, არამედ, საერთოდ, ადამიანის სულიერ გაკეთილშობილებასაც, ურომლისოდაც, ადვილი შესაძლებელია, პოეზიამ დიდი ხნით დაკარგოს აზრიცა და დანიშნულებაც და უმაქნისი გახდეს, როგორც ზღვის ფსკერის შლამში ჩამარხული მარგალიტი.

„ულმობელ დროში მოსული ბალღი”

ზვიად კვარაცხელიას ეს „ნაადრევი” დებიუტი ჟურნალ „მნათობის” ფურცლებზე, ალბათ მისმა ასაკმაც განაპირობა. ის ჯერ კიდევ ცხრამეტი წლისაა, როგორც თვითონვე უწოდებს თავს, „ულმობელ დროში მოსული ბალღია”, მწერალი კი გზაში იზრდება, რაც უფრო ღრმად შედის ის თავისი პროფესიის სახიფა-

თოდ იდუმალ სივრცეებში, მით უფრო ნათლად იკვეთება მისი მწერლური მრწამსი და პოზიცია, რის გარეშეც საერთოდ არ არსებობს მწერლობა. სხვათაშორის, მწერლის მიერ განვლილი გზა განსაზღვრავს მწერლური პოტენციის მარაგსაც და სიძლიერესაც, მაგრამ, როცა ცხრამეტი წლის ბიჭი ასე საღად ფიქრობს,ასე მძაფრად გრძნობს და ასე მტკივნეულად განიცდის საკუთარი ქვეყნის, მშობლიური ხალხის ბედსა და უბედობას, რასაკვირველია, აუცილებლად მიიპყრობს განსაკუთრებულ ყურადღებას. ეს ხომ, უპირველეს ყოვლისა, მწერლობის და, ამ შემთხვევაში, კერძოდ, ჩვენი ეროვნული მწერლობის სიცოცხლისუნარიანობას ადასტურებს, ადასტურებს, ამ მწერლობის ბებერ ფესვებს კვლავაც რომ შეუძლიათ ახალი სიცოცხლის აღმოცენება, გამოტანა ახალი ყლორტისა, რომელიც მთლიანად იწოვს მის გაჩენამდე განვლილი თუ ჩავლილი ცხოვრების ავანჩავანს, ტყუილს და მართალს, სატირალსაც და სასაცილოსაც და, რაც მთავარია, ახლა უკვე მისი მეშვეობით, მისი შეუპოვრობისა და სიჯიუტის წყალობით გრძელდება ჩვენი სამშობლოს უბოლოო თავგადასავალი... პატრიოტიზმი, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, მართლაც სისხლხორცეულად აუცილებელია მწერლობისთვის. ამ მარად მფეთქავი, მარად ფხიზელი ნერვის გარეშე, ნებისმიერი ტექსტი, პოეტურიც და პროზაულიც, შეიძლება, გარეგნულ მომხიბვლელობას არ კარგავს, მაგრამ აშკარად კარგავს შინაგან მუხტსა და დაძაბულობას. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, აღარ ძალუძს ძველებურად ჩვენი აღელვება.

აი, სწორედ ამ პატრიოტული, გნებავთ, ეროვნული ნერვის სიმძაფრით გამოირჩევა ზვიად კვარაცხელიას ნაწერი, ვითომ ნოვატორულ, ვითომ მოდერნისტულ, ვითომ თამამ და თავისუფალ, ნამდვილად კი, ათასჯერ გადაღეჭილ, გაცვეთილ, დაშრეტილ და ყველა „სიკეთესთან" ერთად, თითიდან გამოწოვილ პრობლემებით გაძეძგილ წიგნების ზღვაში.

რასაკვირველია, დღეს ძნელია იმის თქმა, თუ როგორ განვითარდება, რა სახეს მიიღებს ხვალ და ზეგ ზვიად კვარაცხელიას შემოქმედება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მისი გამოჩენა სამწერლო ასპარეზზე მხოლოდ იმის იმედს განუმტკიცებს ყველა ჩვენგანს, არასოდეს რომ არ დაძაბუნდება ქართული სიტყვა, იგივე ქართული სული, ქართული ცნობიერება...

არსებობს დუტუ მეგრელის ერთი პატარა ლექსი, ჩემი აზრით, ლირიკული შედევრი, რომელიც ყოველი წაკითხვის შემდეგ, კიდევ უფრო მეტად გხიბლავს და გაოცებს გარეგნული სისადავითა და შინაგანი დრამატიზმით:

„მე პატარა ქართველი ვარ, კავკასიის მთების შვილი და განცხრომით სხვაგან ყოფნას, მირჩევნია აქ სიკვდილი...”

ეს ლექსად დაწერილი ფიცი, თუ ფიცად გარდაქმნილი ლექსი, ყველა ქართველი ბავშვის სულზე უნდა იყოს თავიდანვე დასვირინგებული, თუკი გვინდა, ღირსეულ ადამიანებად აღიზარდონ ისინი.

მოკლე ავტობიოგრაფია

ოთარ ჭილაძე დაიბადა ქალაქ სიღნაღში, 1933 წლის 20 მარტს. მამის მხრიდან ოდიშის დიდი ფეოდალების შთამომავალია, მისი გვარი მოხსენიებული ჰყავს თითქმის ყველა მისიონერსა და მოგზაურს, რომლებსაც მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში მოუწიათ საქართველოში ჩამოსვლა.

ჭილაძეთა საგვარეულო ეკლესია აბაშასთან, ტყვირში დგას. მამამისი — ივანე ჭილაძე — პედაგოგი გახლდათ ეკონომიური და იურიდიული განათლებით. დედა — თამარი — საკმაოდ შეძლებული, მაგრამ ოციან წლებში ერთბაშად გაკოტრებული კომერსანტის ოჯახიდან იყო, რომელმაც, უმცროსი დებისგან განსხვავებით, მაინც მოასწრო კეთილშობილ ქალთა გიმნაზიის დამთავრება თბილისში. ოთარი მათი მეორე შვილია. სულ სამი შვილი ეყოლათ, ოთარამდე — თამაზი და ოთარის შემდეგ — თინა. ოთარი არც მამას ჰგავს, არც დედას, უფრო სწორად, იმდენად ჰგავს ორივეს, რამდენადაც მაინცდამაინც მას გამოჰყვა თუკი რამე ნაკლი ჰქონდათ მის მშობლებს, ან გარეგნობაში, ან ხასიათში...

სწავლა ბათუმში დაიწყო, შოთა რუსთაველის სახელობის სკოლაში, მაგრამ ომის გამო, ორი წელი სიღნაღში მოუწია სწავლის გაგრძელება.

დამთავრებით კი თბილისის ვაჟთა მეშვიდე სკოლა დაამთავრა 1951 წელს. იმავე წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე ჟურნალისტიკის გან-

ხრით, რომელიც 1956 წელს დაამთავრა, თუმცა დიპლომი აქამდე უნივერსიტეტის არქივში ინახება. სწავლის წლებიდან ყველაზე მძაფრად კოშმარული სიზმარი ახსოვს: ვითომ, რომელიღაც საგანში (საგანს არა აქვს არსებითი მნიშვნელობა) საშემოდგომო გამოცდა გამოჰყვა და არ იცის, როდის, სად და ვისთან უნდა გამოცხადდეს გამოცდის ჩასაბარებლად. პირველი ნაწარმოები ნამდვილად არ ახსოვს. პირველი სიყვარული ახსოვს, მაგრამ ბუნდოვნად.

მსახურობდა მხოლოდ რამდენიმე წელი, ჟურნალ „მნათობში", პოეზიის განყოფილების გამგედ, მაგრამ ახალი და მისთვის არასასურველი რედაქტორის მოსვლისთანავე, უსიტყვოდ მიატოვა იქაურობა. ჯილდოები მიღებული აქვს, თუმცა, როგორც თვითონ ფიქრობს, ნამდვილად არ დაუმსახურებია ისინი, მით უფრო, საბჭოთა ხელისუფლებისგან.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებას ნაკლებად აღელვებდა ეს ამბავი. უფრო სწორად, თვითონ იცოდა, როდის როგორ მოქცეოდა ნებისმიერ ქვეშევრდომს, დაეჯილდოვებინა თუ დაესაჯა, რადგან არც დასასჯელად ჭირდებოდა მიზეზი, არც დასაჯილდოვებლად.

ამიტომ, ჯილდოების დასახელებისგან თავს შეიკავებს, მით უფრო, რომ უმეტესი ნაწილი ოთხმოცდაათიანი წლების ეკონომიურ სიდუხჭირეს შეეწირა. მაშინ, რატომღაც, ფასი დაედო და მუშტარიც გამოუჩნდა საბჭოურ ჯილდოებს. რაც შეეხება დემოკრატიული, თავისუფალი საქართველოს ხელისუფლებას, ჩვენი აზრით, მან მხოლოდ და მხოლოდ ზედმეტი დაბნეულობისგან, უკვე ორჯერ დააჯილდოვა ღირსების ორდენით, რასაც, თუ მახსოვრობა არ გვღალატობს, მხოლოდ კოტე მახარაძე თუ ღირსებია. დაოჯახდა ადრე, უნივერსიტეტის დამთავრებამდე.

ჰყავს ორი შვილი — ზაზა და თაკო — და ოთხი შვილიშვილი — ნანა, ანა, ოთარი და ნათელა, რომლებიც თავს ურჩევნია და რომლებსაც თავისი ცხოვრების ყველაზე დიდ მონაპოვრად თვლის. რაც შეეხება მეგობრებს, ბავშვობიდან ეთაყვანებოდა ამ ინსტიტუტს, შეიძლება ითქვას, დღე არ უცხოვრია უმეგობროდ; ერთგული, გულითადი, უშეღავათო მეგობრობა იცოდა და მეგობრებიც ყოველთვის მრავლად ჰყავდა. მაგრამ დრო თავისას მოითხოვს და მიაქვს კიდეც — ბევრი, ღმერთმა გაანათლოს,

ცოცხალი აღარ არის, ბევრი, ღმერთმა ხელი მოუმართოს, ცხოვრებამ აცდუნა, „სხვა გზას" დაადგა. მაგრამ, საბედნიეროდ, არიან უცვლელნიც და მარადიულნიც, როგორიც, ვთქვათ, მისი უფროსი ძმა თამაზია.

„დიდი საზოგადოებრივი საქმე", ჩვენი აზრით, არ გაუკეთებია. ჩვენში რომ ვთქვათ, არც არავინ ანდობდა, რამდენადაც, საბჭოეთის ერთ-ერთი უერთგულესი და უფხიზლესი ცერბერის თვალსაზრისით, „რესპუბლიკის მასშტაბით", ის იყო ქვეყნისთვის ყველაზე არასანდო ელემენტი, რაც ოფიციალურადაც განაცხადა კიდეც გაზეთში, ოღონდ, უკვე გადამდგარმა. ხოლო, ახალ ხელისუფლებას, მისი რანგის მწერალი, ალბათ არ ემეტება „დიდი საზოგადოებრივი საქმეებისთვის".

სამხედრო სამსახური უნივერსიტეტში მოიხადა:

ორჯერ გაიწვიეს ერთთვიან შეკრებაზე გორში, სადაც თითბრის მათლაფიდან ჭამდა და ხვლიკებით სავსე კარავში ეძინა. მწერალთა კავშირში 1959 წელს მიიღეს, პირველი პოეტური კრებულის გამოცემამდე, რაც მაშინდელი ნორმატივების გათვალისწინებით, თითქმის წარმოუდგენელი ამბავი იყო და დიდ პატივად ითვლებოდა. იმანაც შეიფერა და, როგორც ხედავთ, აქამდე ვერ შელევია ამ პატივს, ანუ, ჯერ კიდევ არ გამოსულა მწერალთა კავშირიდან, ჯერ კიდევ ითრევს ფეხს, რამდენადაც ვერც ის გაარკვია, რა სჯობს თავად მწერლობისთვის: ცუდი მწერალთა კავშირის მიტოვება უბრძოლველად, თუ განდგომილთა, გაქცეულთა უკან მობრუნება და, მათთან ერთად, კარგი, თუნდაც არსებულზე უკეთესი მწერალთა კავშირისთვის ბრძოლა. ყმაწვილთა საკითხავად სამი ლექსი აქვს დაწერილი: „ზოოპარკი", „პედრო" და „ფრანგული ზღაპრის ფრაგმენტი". რაც შეეხება „საქმიან მოგზაურობებს საზღვარგარეთ", ასეთი რამ არ ახსოვს. თუმცა, ერთხელ დიდი ხნის წინად, მართლაც იყო მცდელობა, ისიც ჩაერთოთ „საქმიან მოგზაურობაში", ანუ ისიც შეიყვანეს სამკაციან დელეგაციაში, ფინელ მწერლებთან შესახვედრად, მაგრამ ადგილობრივმა ცენტრალურმა კომიტეტმა ვერ გაბედა პასუხისმგებლობის აღება საკუთარ თავზე, რის მერეც, საკმაოდ დიდი ხნით, საერთოდ აეკრძალა იმას ყველანაირი მოგზაურობა საზღვარგარეთ. ასე რომ, კურიოზებს სხვისასაც ვერ იტანს, მით უფრო, კურიოზების სახალხოდ მოყოლას.

ხოლო, „ტკივილიანი მოგონებები” იმდენად ბევრი აქვს, ვერ გამოარჩევს რომელიმეს, თანაც ასე ნაუცბათევად. ჰობი არასოდეს არ ჰქონია, ვერ შეიქმნა საამისო პირობები, მაგრამ ადვილი შესაძლებელია, ახლო მომავალში, დიახაც რომ ჰობად ექცეს მაჯის თვლა და წნევის ზომვა. არის რუსთაველის, ილიას, ყაზბეგის, საბას და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი.

ასევე — ნობელის პრემიის ნომინანტი.

ამიტომ, „სხვათა შეფასებანი” სჯობს სხვებს ჰკითხოთ. ასევე გაუჭირდება, თავად განსაზღვროს, რა ადგილს იკავებს ლიტერატურაში, თუმცა, თარგმნილი აქვს რასინის „ფედრა”, ბაირონის „ბარათი ავგუსტას”, ლონგფელოს „ჰაიავატას სიმღერა”, პუშკინის „რუსლანი და ლუდმილა”, „პოლტავა“ და „ბაღჩისარაის შადრევანი”... ასევე — ბაგრიცკის, უკრაინკას, ბაჟანის, ისაკიანის, ჰესეს და სხვათა ლექსები... ჟან ანუის „ანტიგონე”, თამაზთან ერთად...

მეტი რა ქნას? თითქმის უკვე ნახევარი საუკუნეა, ინტენსიური და საკმაოდ ნაყოფიერი ურთიერთობა აქვს სხვადასხვა გამომცემლობასთან, როგორც ქვეყნის შიგნით, ისევე ქვეყნის გარეთ. ძალიან ბევრი წიგნი აქვს გამოცემული და მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ასე რომ, არც ამით გამოირჩევა სხვებისგან. მაგრამ მაინც უნდა ითქვას, ჯერჯერობით, არცერთ ქველმოქმედს არ გახსენებია მისი არსებობა, არც დაინტერესებულა, რითი უდგას სული ამ უჰონორარობის მეტისმეტად გაჭიანურებულ პერიოდში.

თავად კი, როგორც არ უნდა მოინდომოს, ვერ გახდება ქველმოქმედი, თუნდაც, მარტო უფულობის გამო...

25 მარტი, 2004.